კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თენგიზ კახაძე

ეკონომიკური გლობალიზაციის გავლენა გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ემირ ეთერია.ეკონომიკის დოქტორი

თბილისი 2020

სარჩევი

სარჩევი.....2

ანოტაცია.....3

Anotation……...4

შესავალი.....5

1.გლობალიზაციის არსი და ძირითადი კონცეფციები 7

1.1 გლობალიზაციის კონცეფციები.....7

1.2 გლობალიზაციისა და ალტერგილობალიზაციის კონცეფციები.27

2.გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილების
თავისებურებები.....33

2.1.საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაცია.....33
2.2 კაპიტალის მოძრაობის გლობალიზაცია..... 39
3.გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფუნქციონირება.....44
3.1.გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის
თავისებურებები.....44
3.2. უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის
ქვეყნებში.....50

დასკვნა.....58

ბიბლიოგრაფია.....61

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია გლობალიზაციის პროცესი და მისი განვითარების ეტაპები.ნაშრომში დედტალურად გავაანალიზებ გლობალიზაციის თანმდევ პროცესებს,თუ რა დადებითი და უარყოფითი პროცესები შეიძლება მოყვეს გლობალიზაციას.კვლევის პროცესში ყურადების დიდი ნაწილი მიექცევა ეკონომიკიურ გლობალიზაციას და მის გავლენას გარდამავალი ეკონიმიკის მქონე ქვეყნებზე.დაწვრილებით არის განხილული გლობალიზაციის ევოლუცია უძველესი დროიდან დღემდე.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა განვითარებული და გარდამავალი ქვეყნების მაგალითები, თუ რა ზეგავლენა მოახდინა გლობალიზაციამ მათზე. რა დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება მოახდინა ამ ქვეყნებზე.

ნაშრომის დასასრულს, წარმოგიდგენთ დასკვნას რომელიც მივიღე არსებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით.

Tengiz kakhadze

The impact of economic globalization On the economies of transition countries

anotation

The Master's Thesis discusses the process of globalization and the stages of its development in the World. In this paper, I will review the accompanying processes of globalization as well as its positive and negative sides in detail. In the research process,I will be more concentrated on analysing Economic Globalization and its impacts on the countries with transition economies.

Also, in this paper, I will try to describe the evolution of globalization, how it has developed and what paths has passed from ancient times to the present ın more detail.

The paper examines examples of different developed and transitional countries as well as their positive and negative influences caused by globalization.

At the end of the Master’s Thesis, I present the conclusion which is based on the research materials.

შესავალი

თემის აქტუალურობა: გამომდინარეობს გლობალურ საკითხებზე მსჯელობით. გლობალიზაცი მიმდინარეობს უძველესი დროიდან, როცა ადამიანებმა დაიწყეს მიმოსვლა და ნივთების გაცვლა, რის გამოც უხვდებოდათ საზღვრების გადაკ-ვეთა, მაგრამ გლობალიზაცია როგორც ეკონომიკური საქმიანობის სფერომ გან-ვითარება დაიწყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში როდესაც ორ მსოფლიო ომ გამოვლილმა ქვეყნებმა დაიწყეს ერთმანეთში ურთიერთობა და დაუკავშირეს ერთმანეთს ეკონომიკა.

გლობალიზაციამ დროთა განმავლობაში განვითარება ჰპოვა არა მხოლოდ ეკონომიკურ სფეროში, არამედ კულტურულ, პოლიტიკურ, მეცნიერულ და სხვა მრავალ სფეროში, მაგრამ მათგან ყველაზე დიდი მინშვნელობა მაინც ეკონომიკურ გლობალიზაციას ჰქონდა.

გლობალიზაციის პროცესებიდან გამომდინარე ადამიანებმა გაითავისეს სხვისი კულტურა ისე, როგორც თავისი. რის გავრცელებაშიც პირველი ადგილი უკავია „ტრანსნაციონალურ“ კორპორაციებს, რომლებმაც შეძლეს თავიანთი ქვეყნების კულტურები გაეტანათ საზღვარ გარეთ. რადგანაც კომპანიები რომლებიც ამოწურავენ ადგილობრივ ბაზარს ისინი შემდეგ იძულებულნი ხვდებიან იმისთვის, რომ განვითარდენენ და არ წავიდნენ რეგრესიისკენ. გავიდნენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ და გახდნენ ტრანსნაციონალური კორპორაციები რომლებიც გლობალური პროცესების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა.

თემის აქტუალურობას წარმოადგენს ის პროცესი, რომ მოხდეს სამომავლო სტრატეგიების შემუშავება ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც არიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები, რადგანაც არ განვითარდეს ასეთ ქვეყნებში კრიმინალი და დაიცვან დემოკრატია. სწორედ ამ პროცესებს აკონტროლებს გლობალიზაცია და ის ცდილობს სამყარო გახადოს ერთიანი, მაგრამ ამ პროცესში ჩვენ უამრავ უარყოფით და დაებით მხარეებსაც გადავაწყდებით.

მიზანი: კვლევის მიზანია განვიხილოთ გლობალიზაციის არსი და ევოლუცია, ამ პროცესის დროს მომხდარი ცვლილებები. რა იწვევს გლობალურ პროცესში ცვლილებებს და რა დადებითი და უარყოფითი თვისებები გააჩნია მას.

კვლევის საგანი: ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს გლობალიზაციის როლის გამოკვლევა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის და სამომავლო გეგმების დასახვა ამ პროცესში განვითარებისთვის.

კვლევაში გამოყენებული მეთოდები: კვლევაში გამოყენებული არის სისტემური ანალიზის მეთოდი, შესწავლილია ნაშრომის ირგვლივ არსებული მასალა. არსებილი მდგომარეობიდან გამომდინარე მოხდა სამაგიდო კვლევის ჩატარება და დამუშავდა პირველადი და მეორადი წყაროები.

პრობლემის კვლევის მდგომარეობა: დღეისთვის ყველასთვის ცნობილი ფაქტია რომ გლობალურ პროცესებს ვერცერთი ქვეყანა ვერ გაექცევა და ვერ უაყოფს მათ, გარდამავალი ქვეყნებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს უცხოური ინვესტიციების შემოდინებას. ამიტომაც ამ პროცეს ფეხი ისე უნდა აუწყონ გარდამავალი ქვეყნის ეკონომიკებმა რომ არ გაითელონ ამ პროცესში და არ დაკარგონ თავიანთი ინდივიდუალურობა. ეს საკმაოდ რთული პროცესია, რადგანაც საერთაშორისო ბაზარზე გარდამავალი ტიპის ეკონომიკებმა კონკურენცია გაუწიონ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები: ნაშრომის შესრულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტის ბიბლიოთეკაში დაცული სახელმძღვანელოებით, რომლებიც შესრულებული არის ამ სფეროში. ამავდროულად გამოყენებული სახელძღვანელოები ეკონომიკური გლობალიზაციის შესახებ და საერთაშორისო სტატისტიკური კვლევები საკიხის ირგვლივ. საინფორმაციო რესურსებს წარმოადგენს ინტერნეტში მოძიებილი კვლევები.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. ნაშრომი შედგება: ანოტაციისაგან, შესავლისაგან, სამი თავისაგან, ექვსი ქვეთავისაგან, დასკვნისაგან და ბიბლიოგრაფიისაგან.

1.გლობალიზაციის არსი და ძირითადი კონცეფციები.

1.1 გლობალიზაციის კონცეფციები.

თანამედროვე მსოფლიო ისე სწრაფად განიცდის ცვლილებებს, რომ იოლი არაა ფეხის აწყობა მისთვის, ამავდროულად ქვეყნები ვალდებულინი არიან ამ პროცესს არ ჩამორჩნენ და მუდმივად მზად იყვნენ ახალი გამოწვევების მისაღებად ამ პროცესის გამომწვევი გახლავთ „გლობალიზაცია“

,,გლობალიაზაცია“, როგორც ტერმინი არ გახლავთ დიდი ხნის და საკმაოდ ახალია. 1980-იან წლებში გამოჩნადა ეს ტერმინი საერთაშორისო მასშტაბებით. უფრო კონკრეტულად, რომ განვიხილოთ ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს სტატიაში სადაც „გლობალიზაცია“ ასახავდა ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის ფენომენს. შემდგომში ფართოდ გავრცელდა. ახალმა ტერმინმა, როგორც სხვადასხვა ლექსიკონებში, ამვდროულად ბანკებში შოუბიზნესის წარმომადგენლებში და სხვა სფეროებში.

„გლობალიზაცია“ სიტყვა როგორც ასეთი ფუძეს ინგლისური სიტყვა globeსგან იღებს, რაც სიტყვა სიტყვით დედამიწას, გლობუსს ნიშნავს. დროის გასვლასთან ერთად შეიცვალა globeმ მნიშვნელობა. მანამდის მას, როგორც სფეროს მნიშვნელობას, ისე გამოიყენებდნენ.

გლობალიზაცია აერთიანებს ერთმანეთთან პროცესებს. ხელსაყრელს ხდის ისეთ პროცესებს, როგორიცაა კაპიტალის და მატერიალური საშუალებების გადაადგილება, გამოგონებების და ტექნოლოგიური ცვლილების მიმოცვლა ერთმანეთში და ამაღლებს შრომის ნაყოფირერბას.

ერთ-ერთი ამერიკელი მკვლევარი ფრიდმანი გვთავაზობს გობალიზაციის განმარტების თავისიუელ ვერსიას, რომლის მიხედვითაც გლობალიზაცია ეს არის შემდგომი“ ბაზრების, ერებისა და სახელმწიფოების ტექნოლოგიების ინტეგრაცია, რაც ინდივიდუმებს, კორპორაციებს, ერებსა და სახელმწიფოებს აძლევს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში წვდომის საშუალებას უფრო სიღრმისეულად და იაფად,

ვიდრე წარსულში. გლობალიზაციას აქვს ეკონომიკური კრებულის საკუთარი ნაკრები, რომლის საფუძველი არის ეროვნული ეკონომიკის გახსნილობა, დარეგულირება და პრივატიზაცია. მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების და უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით".[Fridman.J.1998]

დღევანდელ მსოფლიოში ხშირად იმართება საერთაშორისო ფორუმები გლობალიზაციის შესახები, საერთო პრობლემების გადასაწყვეტად ლიდერები იკრიბებიან და იღებენ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ეს ყოველთვის იოლი პროცესი როდის გახლავთ. ხშირ შემთხვევებში დიდ საპროტესტო გამოსვლების ერთად უწევთ ლიდერებს გადაწყვეტილების მიღება, შეიძლება რთულად დასაჯერებელი იყოს ის ფაქტი რომ გლობალიზაციას და მასთან დაკავშირებულ ფაქტორებს ჰყავს მოწინააღმდეგეები.

საერთაშორისო შეხვედრებზე ხშირ შემთხვევაში ხვდება შეიარაღებული ძალების თავმოყრა მათ დასაცავად, უმეტეს შემთხვევაში ანტიგლობალისტები არ სახლობენ ერთად, ან კიდე იმ ქალაქში სადაც ასეთი შეხვედრები უნდა ჩატარდეს, მაგრამ ასეთ შეხვედრებს თან ახლავს ადამიანების ისეთი კატეგორია, რომლებიც მუდმივად დაკავებულნი არიან გლობალიზაციის გაპროტესტებით. ძირითადად სამი ტიპი არსებოს ასეთი ადამიანების.

1. ეკონომიკური ანტიგლობალისტები.

2 .რადიკალური ნაციონალისტები.

3. ანარქისტები.

ეკონომიკური ანტიგლობალისტები. ეკონომიკური ანტიგლობალისტების მთავარ მიზანს წარმოადგენს, გლობალიზაციის პროცესის ეკონომიკური ასპექტი, რადგანაც ისინი თვლიან, რომ ქვეყნებისთვის გლობალიზაციის პროცესში წარმოადგენს არა საზოგადოების დახმარება, არამედ რაც შეიძლება მეტი ეკონომიკური სარგებლის მიღება. რისგამოც პრივილეგიებს ანიჭებენ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. ეს არის ეკონომიკურ ანტიგლობალისტების

მამოძრავებელი ძალა. გლობალიზაციიის პროცესში ხშირად ვერ უძლებენ პატარა წარ-მოებები, რაც იწვევს მათ ჩაძირვას, როგორც საერთაშორისო ბაზარზე, ასევე ადგილობრივ ბაზარზე. რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს ადგილობრივი წარმოებების გაქრობას ბაზრიდან.

რადიკალური ნაციონალისტები. რადიკალური ნაციონალისტებისთვის გლობალიაზაცია მთავარ საფრთხედ აღიქმება. კულტურული გადაგვარება და სართაშორისო საზოგადოებაში მათი გათქვეფა, რაც გარკვეულწილად სიმართლეს წარმოადგენს, რადგანაც გლობალიზაცია ქმნის საერთო პლანეტას საზღვრების გარეშე, რაც წინაპირობას წარმოადგენს ერთიანი პლანეტის და ერთიანი კულტურის.

ანარქისტები. ანარქისტები გახლავთ პროტესტის გამომხატველთაგან ყველეზე სახიფათო რადგანაც, მათ არ სჭირდებათ მიზეზი და რაიმეს გასანადგურებლად ისინი არბევენ და ანადგურებენ ირგვლივ არსებულ ინფრასტრუქტურას.

ზემოთ ჩამოთვლილი საზოგადობის ნაწილი ხშირ შემთხვევაში დიდ ზიანს აყენებინ გლობალიზაციის პროცეს და აფერხებენ მას თავიანთი გამოხატვის ფორმებით.

გლობალიზაციის პირველ წინააღმდეგობად განიხილება მანძილი რადგანაც თუ ვერ გაიცვლება წარმოებული პროდუქცია მაშინ წარმოების დიდ ნაწილსაც აღარ ექნება მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზრისთვის,რაც წარმოებას აზრს დაუკარგავს. გლობალიზაციის პროცესში მინიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ინგლისში შეიქმნა პირველი ორთქლზე მომუშავე ძრავი, რამაც შესაძლებელი გახადა, წარმოების გაზრდა და შიდა ბაზარზე მათი გადაადგილება. მაგრამ ნამდვილი გარღვევა აღმოჩნდა ორთქლზე მომუშავე გემების გამოჩენა მე-19 საუკუნის დასაწყისში, რონმელმაც უკვე შესაძლებელი გახადა წარმოებული პროდუქცია გასულიყო საზღვრებს გარეთ. დაიწყო გლობალიზაციის პროცესი ისე რომ ადამიანებმაც კი არ იცოდნენ ჯერ ამის შესახებ.

გლობალიზაციის გავრცელებისთვის, ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს უწყვეტი კავშირი ერთმანეთთან. მაგალითად, თუ 1850 წელს ინფორმაციის მიწოდებას

რაიმე საკითხთან დაკავშირებით ამერიკიდან ინგლისში სჭირდებოდა დღეები, კვირეებიი, ან თვეები. 1876 წელს ეს პრობლება აღმოფხვრას იწყებს, რადგან იმ დროისთვის იწყება პროგერსი კავშირგაბმულობებში და გაყავთ პირველი სატელეფონო ხაზი ამერიკასა და ინგლისს შორის, რამაც გლობალიზაციის პროცესი დააჩქარა, მაგრამ პრობლემას წარმოადგენდა იმ დროისთვის არსებული მონოპოლია სატელეფონო ხაზებზე. რომელიც საკმაოდ ძვიადღირებული იყო და ყველა ვერ სარგებლობდა ამ კავშირით. თანამედროვე მსოფლიომ ჩვენ შემოგვთავაზა უწყვეტი კავშირი ერთმანეთთან, რომელიც გლობალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

განხილული მაგალითებიდან ჩვენ მაინც ვერ ვიღებთ საკმარის ინფორმაციას თუ რა არის გლობალიზაცია კონკრეტულად. ეს მართლაც რთული საკითხია. ვის, როგორ მიაჩნია გლობალიზაცია და რა განმარტებას იყენებს ის ამისთვის.

გლობალიზაციის პროცესი შეუძლებალეია რომ იყოს უმოძრაოდ და ის ადამიანების განვითარებასთან ერთად ვითარდება და გადის გარკვეულ პეოცესებს, გლობალიზაციიის პროცესში შეუძლებელია ისე მოხვდეს რომ არ წარმოიქმნას რაიმე პრობლემა, რომელიც შეუძლებელია მოგვარდეს საერთაშორისო შეთანხმებების და ურთიერთობის გაღმავების გარეშე. მართალია ეს პროცესი ქვეყნებს ხდის ერთმანეთზე დამოკიდებულს მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს რადგანაც შეუძლებელია მოხდეს ისე, რომ რომელიმე ქვეყანამ იარსებოს სხვა ქვეყნებისგან დამოუკიდებლად.

გლობალიზაციის პროცესი აიოლებს წარმოების პროცეს ქვეყნებისთვის. შესაძლებლობებს აძლევს ქვეყნებს აწარმოონ ის პროდუქცია, რომელშიც აქვთ წარმოების უპირატესობა. შეუძლიათ ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოება, რისი წინაპირობაც არის ტექნიკური პროგრესი და ინოვაციების დანერგვა წარმოებაში. კადრების გადამზადება საერთაშორისო დონეზე, რაც

თანამშრომლებს მეტად პროდუქტიულს ხდის, ეს პროცესი შეუძლებელი იქნებოდა გლობალიზაციის გარეშე.

გლობალიზაცია აახლოებს ქვეყნების ეკონომიკებს ერთმანეთთან, რაც აძლიერებს ერთმანეთის ეკონომიკებს და შლის ტოტალიტარულ სახელმწიფოებს. XXI საუკუნისთვის ჩამოყალიბდა ახალი ეკონომიკური მიმართულება, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი გახლავს ინტელექტუალური საკუთრება.

ბენჯამინ ფრანკლინმა ერთხელ თქვა „ცხოვრებაშ ორი რამაა გარდაუვალი: სიკვდილი და გადასახადები“. ასეთ სიტუაციაში იმყ ოფება დაღევანდელი მსოფლიო და ამ გამონათქვამს ჩვენ შეიძლება ,,გლობალიზაცია“ დავუმატოთ მსოფლიოსთვის.

„გოლობალიზაცია“ ტერმინი სანამ ჩამოყალიბდებოდა მანამდე მას ჰყავდა წინამორბედი ტერმინი ,,საერთაშორისო“ რომელიც დიდი პოპულარულობით სარგებლობდა მაღალ წრეებში, მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოსთვის საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ ეს ტერმინი სრულად ვერ აკმაყოფილებდა მათ მსჯელობას საერთო საკითხთან დაკავშირებით. მათ ესაჭიროებოდათ ახალი იდეა, რომელიც უკეთ ასახავდა საერთო ცვლილებებს, როგორც საკუთარ ქვეყნებში ასევე საერთაშორისო გარემოზეც, რამაც დაამკვიდრა ტერმინი ,,გლობალიზაცია“.

გლობალიზაციის ერთ-ერთი გავრცელებული განმარტებით ეს არის ,,გლობალიზაცია“ ერთიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც პლანეტარული მოვლენების გავრცელების ინტერესებიდნ გამომდინარე ხორციელდება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ ღირებულებათა ნებაყოფილებითი განვითარებადი და ჩამორჩენილი ქვეყნების მრავალფეროვან სივრცეში“. [გ.თოდუა.2011.გვ.15]

გობალიზაციაზე ადრე ჩამოყალიბება დაიწყო გლობალურმა ეკონომიკამ. გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს მსოფლიოს ნგრევამ დაიწყო.

პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა დამანგრეველი ზიანი მიაყენა მსოფლიოს, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი ევროპამ მიიღო, ერთდროს ულამაზესი ქალაქები და ეკონომიკურად გიგანტი ქვეყნები კატასტროფის წინაშე აღმოჩდნენ, რამაც ევროპელი საზოგადოება დააფიქრა რაღაც ახალზე რაც სწრაფად

დაეხმარებოდა ევროპას კვლავინდელი სიძლიერის დაბრუნებაში და სწრაფი განვითარების გარანტი იქნებოდა,ამიტომაც ევროკავშირს შექმნის იდეა პირველად გაახმაურა დიდი ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში, მაგრამ ამ იდეას განვითარება არ მოჰყოლია, რადგანაც იმ დროინდელმა მმართველებმა არ ჩათვალეს საჭიროდ რომ კავშირი შეექმნათ.

ევროპული ინტეგრაციის საწყისი არის 1950 წელს გაკეთებული განცხადება რობერტ შუმანის მიერ, რომელმაც წარმოადგინა ფრანგი პოლიტიკოსი ჟან მონეს ინიციატივა გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირისა და ფოლადის საბადოები.

1951 წელს შეიქმანა ევროპის ქუანახშირისა და ფოლადის გაერთიანებ. (Europeam coal and steel community). ამ გაერთიანებაში შევიდა შემდეგი სახელმწიფოები: ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, იტალია, საფრანგეთი. ამ სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი ზე ეროვნული ორგანო, ეგრეთწოდებული. „უმაღლესი ხელისუფლება რომელიც გააკონტროლებდა ამ სახელმწიფოებში.

სახელწიფოებებისაგან დამოუკიდებლად ქუანახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და გაყიდვებთან დაკავშირებუ ყველა საკითხებს. უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე.

ზემოთ ჩამოთვლილი გლობალიზაციის დაწყების დროს მნიშვნელოვანი იყო ტექნიკური განვითარება, ტელეკომუნიკაცია და საზღვრების წაშლა ქვეყნებს შორის, სწორედ ასე დაიწყო გლობალიზაციიის წინა პირობა ევროპის ტერიტორიაზე, რომელიც დღეს-დღეისობით გლობალიზაციის და ადამიანური განვითარების ინდექსით ერთ-ერთი პირველია მსოფლიოში.

XX - XXI საუკუნეებისთვის ახალმა გამოწვევებმა საჭირო გახადა ახალი კვლევების ჩატარება, რომელიც გამოთვლიდა გლობალიზაციის ინდექსს,რაც გამოიწვია გლობალური განვითარების პროცესებმა. KOF გლობალიზაციის ინდექსი შეიქმანა 2002 წელს, ინდექსი ეყრდნობა მსოფლიო ბანკს, ვაჭრობისა და განვითარების

შესახებ გაეროს კონფერენციის წლიურ ანგარიშებს. გლობალიზაციის KOF ინდექსი ქვეყნების მსოფლიო სივრცეში ინტეგრირების ხასიათის შესაფასებლად გამოიყენება. ეს აგრეგირებული მაჩვენებელია და მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს, ხოლო ამ სამი ინდექსის შეერთებით ერთიან გლობალიზაციის ინდექსს ანგარიშობენ. ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკიური გლობალიზაციის ინდექსს აქვს 36% -ული წილი, სოციალურ გლობალიზაციას 37% -ი ხოლო პოლიტიკურ გლობალიზაციის ინდექსს - 26%-იანი.

2019 წლის KOF ინდექსის მიხედვით შემდეგი ქვეყნები ლიდერობენ: შვეიცარია, ჰოლანდია, ბელგია, შვედეთი, ინგლისი, აუსტრია, გერმანია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი. ცხრილში მოთავსებულმა ყველაზე სწრაფად გაუგეს გლობალიზაციას და ფეხი აუწყეს მას. სწორედ ამიტომ იკავებენ დღეს ისინი ლიდერ პოზიციას არამხოლოდ KOF ინდექსის მიხედვით არამედ სხვა მახასიატებლებით როგორიცაა ეკონომიკა, პოლიტკა და სხვ. KOF ინდექსის მიხწდვით საქართველო არის 65% -ით 50 -ე ადგილზე, რაც არ წარმოადგენს ცუდ შედეგს ჩვენისთანა გარდამავალი ტიპის ქვეყნისთვი, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ქვეყანა ყველთვის იცვლის ადგილს ცხლილის ზედა საფეხურებიკენ, რაც ქვეყნის განვითარებაზე მეტყველებს. განვითარების ზრდის ასეთი ტემპი დაიწყო ქვეყნის ახალი პოლიტიკური მიმართულების არჩევის შემდეგ როდესაც საქართველოში 2003 წელს მოხდა ვარდების რევოლუცია და ქვეყანამ შეიცვალა პოლიტიკური მიმართულება და ჩრდილოეთის ნაცვლად აირჩია დასავლეთის განვითარების

old.infocenter.gov.ge/euinfohistory/#1

http://mastsavlebeli.ge/uploads/Indeqsebi.pdf

KOF - გლობალიზაციის ინდექსი, რომელიც ზომავს ქვეყანაში გლობალიზაციის გავლენას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ჭრილში

პოლიტიკა რამაც გამოიწვია მკვეთრი ცვლილებები როგორც პოლიტიკური კუთხით ასევე ეკონომიკური მიმართულებით,ამ პროცესებიდან გამომიდინარე ქვეყანამ შეძლო დაეწყო საგარეო ურთიერთობების განვითარება და ზოგადად ქვეყნის განვითარება.

სტატისტიკა:1



ლიდერი ქვეყნები KOF ინდექსის მიხედვით.

www.statista.com

გლობალიზაციის 4 სახე გვაქვს დღეს ჩვენ წარმოდგენილი. ჩვენ, რომლებიც დეტალურად უნდა შევისწავლოდ და გავიაზროთ რადგანაც ჩვენ ეგვეძლოს ადამიანთა იმ ნაწილძე მყარი არგუმენტების მოტანა რომლებიც ეწინააღმდეგება გლობალიზაციის პროცესს.ანტიგლობალისტების მთავარ არგუმენტს წარმოადგენს შემოსავლების არათანაბარი განაწილება ქვეყნებს შორის გლობალიზაციის პროცესში რაც უარყოფითად აისახება განვითარებადი და გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის ამავდროულად ეს აისახება დანარჩენ მსოფლიოზეც უარყოფითად.

გლობალიზაციის სახეებია:

- ეკონომიკური
- პოლიტიკური
- სოციალური
- კულტურული

ეკინომიკური გლობალიზაცია. ეს არის გლობალური საერთო ბაზრის რეალიზება, რომელიც დაფუძნებულია საქონლისა და კაპიტალის საერთო ბაზარზე თავისუფალი გასვლით. ასეთი კავშირი გულისხმობს იმას, რომ გეოგრაფიულად ერთი არეალის სრულყოფილად არ ფუნქციონირებამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს სერთო ბაზარზე და კრახისკენ წაიყვანოს რომელიმე სფერო, რაც ავტომატურად ზეგავლენას მოახდენს ირგვლივ არსებულ სხვა სფეროებზეც.

ეკონომიკური გლობალიზაცია როგორც უკვე ავღნიშნეთ ხელს უწყობს ქვეყნებს ერთმანეთთან დაახლოებაში და რათქმაუნდა ყველა ქვეყანას არ აყენებს ერთნაირ პირობებში წარმოების პროცესში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროცეს არ უნდა შეუერთდეს და განზე გადგეს მისგან, ჩვენ შეგვიძლია

თვალნათვლივ დავინახოთ გრაფიკზე ეკონომიკური გლობალიზაციის მოწინავე ქვეყნები, რომლებიც

განვითარებით მაღალ საფეხურზე არ არიან მაგრამ საკმაოდ მყარად დაგანა ამ პროცესში, რამაც გამოიწვია ამ ქვეყნები განვითარების დაჩქარება საერთაშორისო ასპარეზზე მათ კარგად აუღეს ალღო გლობალიზაციის პროცეს და როგორც არის ნათქვამი „საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოჩნდნენ.“ რამაც მოახდინა მათი წინსვლა საერთაშორისო ასპარეზზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის ერთ- ერთ უარყოფით ტენდენციად ჩვენ შეიძლება დავასახელოთ ქვეყინის შიგნით არსებული სავალუტო მდგომარეობა, როდესაც ხდება ინვესტიციიის მიმღები ქვეყანა. მაშინ ვეღარ აკონტროლებ ქვენის შიგნით არსებულ ვალუტის კურსის ცვლილებას, რამაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება დააზიანოს ქვეყნის შიდა ეკონომიკა. უმეტეს შემთხვევაში ინვესტიციების მიმღები ქვეყანა რჩება მომგებიანი, რადგანაც ქვეყანაში შედის ახალი ფულის მასა რომელიც შესაძლებელს ხდის ახალი წარმოების დაწყებას და ხდის ქვეყანას ეკონომიკურად უფრო მიმზიდველს საერთაშორისო ბაზარზე მოთამაშე კომპანიებისთვის.

ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში დიდი ეკონომიკის მქონე ქვეყნები (მაგალითად, დიდი 7-იანის ქვეყნები) არ არიან მაღალ პოზიციებზე, თუმცა აღნიშნულ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მაღალია. ეს აიხსნება იმით, რომ მათი ეკონომიკური განვითარებისთვის არ არის აუცილებელი ეკონომიკური გლობალიზაციის მაღალი დონე, რადგან აქვთ დიდი შიდა ბაზარი და მნიშვნელოვანი მოცულობის შიდა კაპიტალი. სამაგიეროდ, ვერ ვნახავთ პატარა ქვეყანას, სადაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი მაღალია და ეკონომიკური გლობალიზაციის ინდექსში დაბალი პოზიცია უჭირავს. საერთაშორისო ვაჭრობა, უცხოური კაპიტალი და სამუშაო ძალის მიგრაცია იქცა პატარა, ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნების განვითარების აუცილებელ პირობად.

https://forbes.ge/

ტოპ 10 ქვეყანა ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით

სტატისტიკა:2



	არაბეთი	ესტონეთი	მალტა	შვეიცარია	ირლანდია	ჰონგ კონგი	ლუქსემბურგი	ბელგია	ჰოლანდია	სინგაპური
100	85,95	86,27	86,5	86,79	87,97	88,21	88,3	88,54	88,66	94

https://www.statista.com/

საქართველო ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით რეიტნგის 22 ადგილზე იმყოფება 82.02 -ი ქულით 2019 -ს მონაცემებით, რაც საკმაოდ მიმზიდველს ხდის საინვესტიციო თვალსაზრისით რაც თვალნათვლივ ჩანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებით.

ეკონომიკური გლობალიზაცია საზღვრებს უღებს წარმოებისა და ინვესტიციების შემოსვლის ამოუწურავ რესურსებს ქვეყნისთვის, რასაც სწორი დაგეგმარება და შენარჩუნება სჭირდება, რადგანაც ინვესტორებმა არ დაკარგონ ინტერესი ქვეყნის შიგნით. ამისთვის კი საჭიროა ქვეყანამ უზრუნველყოს სტაბილური გარემო ქვეყნის შიგნით, შექმნან ინფრასტრუქტურული განვითარების გეგმა და განახორციელონ ის. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოდა თავიანთი მოსახლეობა განათლებით და უსაფრთხოებით. ეს ორი რამეა რაც ქვეყანას აძლევა შანს სამომავლო განვითარების, ასევე მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს კერძო საკუთრების დაცვის გარანტიები, რისი სოციალური პასუხისმგებლლობაც სწორედ სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე.

XX საუკუნეში მყარად იყო გაბატონებული აზრი, რომ საერთაშორის ეკონომიკური აზრი განსხვავდებოდა XIX საუკუნის ფუნქციისგან,მაგრამ ეს ასე არ გახლავთ, მაშინ თვლიდენენ რომ ბაზარი სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყო და სახელმწიფო კონტროლისგან უნდა გათავისუფლებულიყო, მაგრამ 1929 წლის კრიზისმა გამოაჩინა ეკონომიკური გლობალიზაციის სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც ჯერ ქვეყნები არ იყვნენ მზად სრული ეკონომიკური გლობალიზაციისთვი, ამიტომაც მართვის სადავეები სრულად სახელმწიფომ აიღო ხელში. 1944 წელს ამ პრინციპზე დაყრდნობით ხელი მოეწერა „ბრეტონ ვუდსის კონსესუს“ რომელსაც ომის შემდგომი ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაერეგულირებინა სახელმწიფოს.

ომის შემდგომ პერიოდში ყველაფერძე კონტროლს სახელმწიფო იღებდა და ამიტომაც კერძო ბანკები სახელმწიფო ბანკებმა ჩაანაცვლა, ბაზრების რეგულაციები

სახელმწიფო რეგულაციებმა ჩაანაცვალა. პოლიტიკური ურთიერთობები გადამწყვეტ როლს თამაშობდა ეკონომიკურ ურთიერთობებში. გასაკვირი არც უნდა იყოს რადგანაც პოლიტიკა და ეკონომიკა მუდმივ თანხვედრაში არიან ერთმანეთთან.

ცვლილებების ერთად მალევე ეკონომიკამ დაიწყო თავიანთი ძალების

დაბრუნება და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვა, როგორიც იყო XIX საუკუნის დასაწყისში,ამ დროს ვაჭრობასა და საერთაშორისო ეკონომიკას გაუჩნდა ის ძალა რომ სახელმწიფოსთვის შეეთავაზებინა საკუთარი გადაწყვეტილებები და არ ყოფილიყვნენ დამოკიდებული პოლიტიკაზე. დაიწყო ცვლილებები კომუნიკაციის სფეროში რამაც დიდი როლი შეასრულა ეკონომიკურ ურთიერთობებში. შემდგომ პერიოდში წინ წამოიწია ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებები ქვეყნების ერთმანეთზე, რაც მშვიდობის წინაპირობა გახლდათ. ლიბერალური გახდა საბანკო სექტორი, რომელმაც ინიციატივა გაუჩინა კერძო პირებს წარმოების ახალ ეტაპზე გადასულიყვნენ. 80- იან წლებში იწყება მსოფლიო ეკონომიკაში ახალი გარღვევა რადაგანაც ქვეყნები და კერძო პირები აცნობიერებენ, ეგრეთწოდებული სახელმწიფოს „ზრუნვა“ უნდა შემცირებულიყო ეკონომიკაზე. კერძო მეწარმეებზე მეტი თავისულების მიცემით ქვეყნის შიგნით და პროტექციონიზმზე უარის თქმით უცხო პარტნიორებთან ურთიერთობაში, რაც არ გამორიცხავს სახელმწიფო დახმარებას მსოფლიო ბაზარზე გასვლისას, სწორედ ამ ფაქტორებმა მოახდინა ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოები ეკონომიკური გლობალიზაციის ლიდერთა სათავეებში.

ეკონომიკურ გლობალიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არის ვალუტების მიმოქცევა მსოფლიოში. ვალუტა ხშირ შემთხვევაში ასრულებს გადამწყვეტ როლს ეკონომიკაში. თვალსაჩინო მაგალითია ეკონომიკური

გლობალიზაციის პროცესში ამერიკის ვალუტის მიმოქცევა მსოფლიოში, არ შეგვხვდება ქვეყანა რომელშიც არ იშოვება ამერიკული დოლარი, ეს პროცესი

Katherine lynch. the forces of economic globalization

აიოლებს ურთიერთობებს ერთმანეთთან, რადგანაც საზღვრების არსებობის გარეშე ერთი ქვეყნის ეურო სრულიად თავისუფლად გადაიცვალოს აშშ დოლარებში ოთახიდან გარეთ გაუსვლელად. ეს პროცესი ქმნის ეკონომიკური ურთიერთობების

განხორციელებას უფრო სწრაფად და მარტივად. ამ პროცესსაც აქვს უარყოფითი მხარეები. თავდაპირველად მსოფლიოში აშშ დოლარი მყარად მიმოიქცეოდა მსოფლიოში მაგრამ მალევე აშკარა გახდა, რომ ამ პროცესს შეიძლებოდა ცუდი შედეგი მოჰყოლოდა სამომავლო პერიოდში. მაგალითად: თუ ამერიკა კრიზისში აღმოჩნდებოდა ეს პროცესი გავრცელდებოდა გლობალურად. დამანგრეველ ზიანს მიაყენებდა მსოფლიო ეკონომიკას. ამიტომაც 2002 წელს მსოფლიო ბაზარზე გამოჩდა ახალი ვალუტა, რომელიც შემოგვთავაზა გაერთიანებულმა ევროპამ. ევროს გაძლიერება მსოფლიო ბაზარზე გამოწვეული იყო ამერიკის ეკონომიკური კრიზისით 2000 - 2007 წლებში.

ნობელის პრემიის ლაურიანტმა პოლ კრუგმანმა თავსი მონოგარაფიაში „დიდებული ტყული“ განაცხადა, რომ ამერიკას გაუჭირედებოდა თავის სოციალური პროექტების ერთად შეენარჩუნებინა თავის ეკონომიკური სიძლიერე მსოფლიო ბაზარზე, კრუგმანის თქმით ასეთი პროექტების განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკური პარტიების დარეკლამება და არჩევნებში ხმების მოპოვება, რაც დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

პოლიტიკური გლობალიზაცია

XXI საუკუნეში მსოფლიო გლობალიზაციამ მოიცვა. გლობალიზაცია გავრცელდა ყველა სფეროსა და სახელმწიფოებში (გარდა ჩრდ. კორეისა). შეუძლებელი იქნებოდა ეს პროცესი პოლიტიკასაც, რომ არ შეხებოდა. პოლიტიკური გლობალიზაციის დროს საჭირო გახდა საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა,

რომლებიც დაარეგულირებდა პოლიტიკურ სტაბილურობას მსოფლიოში. 1945 წელს როდესაც დასრულდა ომი დაიწყო ასეთ ორგანიზაციების ჩამოყალიბება და შემდეგი

პ კრუგმანი.:დიდებული ტყუილი.გვ 68

ორგანიზაციები შეიქმნა: გაერო, ნატო, ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა, ევროკავშირი, მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა ორგანიზაციები. ეს ორგანიზაციები ცდილობენ შექმნან მშვიდი გარემო მსოფლიოში ძალადობის გამოყენრბის გარეშე.

პოლიტიკური გლობალიზაციის იდეალურ მაგალითს წარმოგვიდგენს ევროკავშირი, რომელებიც იდეალურად არიან შეთანხმებულები, აქვთ ერთიანი პოლიტიკური აზროვნება და სამართალი. ამავდროულად ისინი ერთად უფრო ძლიერები არიან და ხელს არ უშლიან ერთმანეთს გაძლიერებაში. ამ გაერთიანების დროს ქვეყნებს არც თავისუფლება აკლდებათ და არც სუვერინეტეტი, ამავდროულად ამ გაერთიანება ქვეყნებს საშუალება მიცეს ქცეულიყნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლიდერებად მსოფლიოში.

პოლიტიკური გლობალიზაციის ერთ-ერთ დადებით ფაქტორს წარმოადგენს თავისუფალი ვაჭრობა, რაც ხელს უწყობს ექსპორტს, იმპორტს და კაპიტალის მოძრაობას. ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი პაქტი, რომლის მიხედვითაც ხელი მოეწერა შეთანხმებას აშშ - ს, კანადისა და მექსიკის მიერ ეკონომიკური თანამშრომლობის დადასტურების მიზნით. პოლიტიკური გლობალიზაცია ყველაზე კარგად არის წარმოდგენილი ევროკავშირში სადაც, ყოველგვარი ბარიერების გარეშე გადაადგილდება ფულადი ნაკადები და წარმოებული პროდუქცია, რაც კონკურენციულ უპირატესობას ანიჭებს წევრ ქვეყნებს.

მასაშადამე, პოლიტიკური გლობალიზაცია წარმოადგენს კავშირს სახელმწიფოებს შორის, საერთაშორისო ორგანიზაციების საფუძველზე, რომლებიც ყურადღებას აქცევს და აკონტროლებს მსოფლიოში არსებულ მდგომარეობას, ცდილობენ შეინარჩუნონ მშვიდობა და არ დაუშვან არსებული სიტვაციების

გაუარესება მსოფლიოში და შეცვალონ რაიმე კარგისკენ. პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსით შემდეგი ქვეყნები გვევლინებიან სათავეში: იტალია, სფრანგეთ, გერმანია, ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, შვედეთი, შვეიცარია, ბელგია და აუსტრია. თვალსაჩინოებისთვის ეს ქვეყნები წარმოდგენილია გრაფიკზე.

სტატისტიკა:3



ტოპ 10 ქვეყანა პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით

https://www.statista.com/

თვალნათლივ ჩანს, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესში ევროპის ქვეყნები პირველობას არავის არ უთმობენ. სწორედ ამ პროცესს განვიხილავდი, როცა ვსაუბრობდი რა მოაქვს პოლიტიკურ გლობალიზაციას და რამდენად მნიშვნელოვანია პოლიტიკური გლობალიზაცია ნებისმიერი ქვეყნისთვის.

2019 წლის, პოლიტიკური გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით, საქართველო იმყოფება 69.41-% ით 92 ადგილზე რაც საკმაოდ ცუდ მონაცემად მიმაჩნია მე პირადად, მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქვეყანა ცდილობს გააგრძელოს ცვლილებები პოლიტიკურ ჭრილში და გააუმჯობესოს მისი ეხლანდელი მონაცემები.

სოციალური გლობალიზაცია. ეს არის საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბება, მსოფლიო საზოგადოებას შორის, რომელიც განისაზღვრება ქვეყანაში განვითარებული სხვადასხვა პროცესების მიხედვით. განათლების დონით ქვეყანაში, წიგნებისა და კითხვის მცოდნეთა, ტურისტების და ერთ ადამიანზე ინტერნეტის მოხმარების რაოდენობით. სოციალური გლობალიზაცია საშუალებას აძლევს ჩამორჩენილ ქვეყნებს დაიმკვიდროს საერთო წესები და გაითავისოს როგორც საკუთარი, რაც მოტივაციას და იმედს აძლევს განვითარებად ქვეყნებს სამომავლო პერსპექტივაში. სოციალური გლობალიზაცია ყველაზე მნიშვნელოვანია გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის, რადგანაც იქ არსებული მდგომარეობა ქმნის ცუს საცხოვრებელ პირობებს, როგორც ადგილობრივებისთვის ასევე ჩასული თურისთებისთვის რის გამოც ხშირ შემთხვევაში საზოგადოების გარკვეული ნაწილი თავს იკავებს ასეთ ქვეყნებში ვიზიტისგან. სწორედ სოციალურ გლობალიზაცია უწყობს ხელს ერებს შორის ურთიერთობის ჩამოყალიბების პირველ ეტაპს რადგანაც ამ დროს ჩნდება ელემენტარული პირობები და განვითარების ახალი დონე საცხოვრებლად და ტურისტების მისაზიდად რაც

ხელს უწყობს შემდგომში პოლიტიკური და ეკონომიკური გლობალიზაციის ჩამოყალიბებასაც.

სოციალური გლობალიზაციის მიხედვით ქვეყნები შემდეგი თანმიმდევრობით არიან განაწილებულნი



სტატისტიკა:4

კულტურული გლობალიზაცია. გლობალიზაციის პროცესი გვერდს არც კულტურას უვლის და გვხდება კულტურული გლობალიზაცია, როგორ აისახება გლობალიზაციაზე კულტურა? ამ კითხვის გასაგებად ჯერ საჭიროა თავად კულტურის არსს ჩავუღრმავდეთ.

სიტყვა **„კულტურა“** ლათინური წარმოშობისაა colere „დამუშავებას, მოვლას, მიწათმოქმედებას ნიშნავს“. ჩვენ მართალი კულტურის 400 - ზე მეტი განმარტება გვაქვს, მაგრამ ჩვენ განვიხილოთ 3 ყველაზე პოპულარური განმარტება.

---

https://www.statista.com/

1 .კულტურა არ არის ადამიანის გენეტიკური ბუნების გამოვლენა, ის სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ქცევების ერთობლიობაა.

2. კულტურა არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ფენომენს, იგი ზოგადობით ხასიათდება და იმ ნიშანთა ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც საყოველთაოდაა მიღებული, ანუ იგი საზოგადოებისთვის მისაღები და აუცილებელი საერთო ნორმებისა და ღირებულებების.

3. კულტურა არის სოციალური მემკვიდრეობა, ანუ ის, რაც საზოგადოების განვითარების პროცესში თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც სოციუმის მიერ საუკუნეების განმავლობაში დაგროვებული და ტრადიციად ქცეული ცოდნა; ანუ სოციალური მემკვიდრეობა არის სოციალური ტრადიცია. კულტურის გადაცემა არის ერთგვარი პროცესი, რომლის მეშვეობითაც კულტურა გადადის მომდევნო თაობებზე არაგენეტიკური, ანუ სწავლების გზით. ამ პროცესს, როგორც ფენომენს, კულტურულ ტრანსმისიას უწოდებენ. სწორედ კულტურული ტრანსმისიის შედეგია კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მისი დროში უწყვეტობა. ამ თვალსაზრისით კულტურა არსებითად განსხვავდება სოციალური სისტემისაგან, რომელიც დროში ცვალებადია. რომელიმე მოცემული ეთნიკური ჯგუფის კულტურა სოციალური სისტემისაგან დამოუკიდებლად ვრცელდება ერთი სისტემიდან მეორეზე.

ამდენად, კულტურა, ერთი მხრივ, სოციალური ურთიერთქმედების პროდუქტია, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ურთიერთქმედებათა სახეების დეტერმინანტი. ანთროპოლოგი ი. გუდენაუ კულტურის შემადგენელ ოთხ ელემენტს გამოყოფს:

ენობრივი ფენომენები (ცნებები, კონცეპტები), რომლებიც ადამიანის (ჯგუფის) გამოცდილების რელევანტურია, რამდენადაც ამ გამოცდილების მოწესრიგებასა და ორგანიზებას ახდენს;

ცნებებს შორის მიზეზ–შედეგობრივი და ფუნქციური კავშირების გამომხატველი ურთიერთობები;

ღირებულებები, რომლებიც დაკავშირებულია მიზნებთან, რომელთა მიღწევისკენაც მიისწრაფვის საზოგადოება;

წესები და ნორმები, რომლებიც არეგულირებს ადამიანთა ქცევას ღირებულებებთან შესაბამისობის თვალსაზრისით. აღნიშნულ წესებთან და ნორმებთან დაკავშირებულია სანქციები, რომლებიც ითვალისწინებს დასჯას ან წახალისებას ნორმების დარღვევის ან შესრულების შემთხვევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტებიდან გამომდინარე ჩვენ უკვე ნაწილობრივ შეგვიძლია გავიაზროთ თუ რა არის კულტურა, ხშირ შემთხვევაში ადამიანებს ერევათ კულტურაში ყოველდღიური ქცევები მაგალითად: როდესაც ადამიანი იძინებს და იღვიძებს ეს ჩვენ კულტურას არ უნდა დავუკავშიროთ რადგანაც ეს ჩვეულწბრივი მოტორული ფუნქციაა რომელიც სისტემატურად ხვდება ყოველ დღეს, მაგრამ ამას ვერ დავუკავშირებთ ისლამის მიმდევართა ქცევას რომლებიც ყოველ დილას ადრიანად იღვიძებენ იმისთვის, რომ შეასრულონ თავიანთი ღვთის მსახურება ეს უკვე კულტურის ნაწილია. ისინი აგრძელებენ წინაპრების მიერ გადმოცემულ წესებს.

კულტურული გლობალიზაციის დროს მთავარია ადამიანებმა შეინარჩუნონ საკუთარი თვითმყოფადობა. ხშშირ შემთხვევაში ხდება ისე რომ გლობალიზაცია შთანთქავს პატარა კულტურებს. გლობალურ სამყაროში ჩვენ არ გვხვდება ის შეზღუდვები, რომლებიც კულტურულ პროცესში გვბოჭავდა. მაგრამ ეს არ ნიშნავ იმას, რომ ადამიანებმა დაივიწყონ თავიანთი კულტურა, ან უარი განაცხადონ გლობალიზაციის პროცესზე. სწორედ უნდა მიუდგეთ გლობალიზაციის პროცეს

და მისგან საუკეთესო რამ მივიღოთ რისი მიღებაც შეგვიძლია ჩვენ ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანებს.

http://socium.ge/

http://tandaschwili.com/

1.2 გლობალიზაციისა და ალტერგილობალიზაციის კონცეფციები

გლობალიზაციის დადებითი მხარეები.

უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება გლობალიზაციის საკითხი. როგორც ყველა მოვლენას გლობალიზაციასაც გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. როგორც უკვე ავღნიშნეთ ეს პროცეს შეუქცევადია და თანამედროვე სამაროში შეუძლებელი ცხოვრობდე ისე, რომ გლობალიზაციამ შენამდისაც არ მოაღწიოს.

გლობალიზაციის დადებით მხარეებძე როდესცა ჩვენ ვიწყებთ საუბარს ალბათ პირველ რიგში ვფიქრობთ რა შედეგები მოიტანა მან ჩვენთვის და რისი მოტანა შეუძლია სამომავლო პერსპექტივაში.

გლობალიზაციამ სამყარო შეცვალა თავიდან ბოლომდე და ის დაგვანახა სრულიად ახლებული ფორმით. შესაძლებლობა მოგვცა გლობალიზაციამ როგორც ფიზიკურ პირებს, ასევე ქვეყნებს, რომ ახალი შესაძლებლობები დაგვენახა, რაც ერთ დროს შეუძლებელი გვეგონა. ეხლა ყველაფერი შესაძლებელი გახდა. გლობალიზაციის დადებითი მხარეეების საუბრის დაწყებისას ალბათ ჩვენ პირველად უნდა განვიხილოთ მისი ეკონომიკური სარგებლის მოტანა მსოფლიოსთვის, რაც აისახება დედამიწის ყოველ კუთხეში.

გლობალიზაციამ გზა გაუხსნა „ტრანსნაციონალურ“ კორპორაციებს რომლებიც ხელს უწყობენ ქვეყნებს განვითარებაში. როდესაც ქვეყანაში შემოდის ახალი თრანსნაციონალური კორპორაცია ეს ნიშნავს დასაქმებულთა რიცხვის ზრდას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას და ცხოვრების დონის მაღლა აწევას.

გლობალიზაციამ გზა გაუკვალა ინოვატორებს და ხელმისაწვდომი გახადა მათი იდეების ასრულება. წარმოვიდგინოთ დედამიწა გლობალიზაციის გარეშე, დარწმუნებული ვარ, რომ საკმაოდ რთული წარმოსადგენია, რადგანაც ჩვენ ვიღებთ ამით ერთ დიდ ჩაკეტილ სივრცეს, რომელიც არ გამოირჩევა არაფრით და არა

აქვს განვითარების პერსპექტივა. ამ დროს ყველა ქვეყანა დაიწყებდა საკუთარ თავზე ზრუნვას, მაგრამ სრულყოფილად ვერ მოახერხებდა ამას და ჩვენ მივიღებდით უამრავ გარდაცვლილ ადამიანს და ჩამოვარდნილ შიმშილს მსოფლიოში. რადგანაც დედამიწის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული მსოფლიოში.

გლობალიზაციის დადებით მხარედ განვიხილავ მსოფლიოში უამრავი კონფლიქტის მოგვარებას, რომელიც შეძლეს საერთაშორისო ორგანოებმა. გამუდმებით მიმდინარეობს ტექნოლოგიური განვითარება და მათი გამოყენება სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა სოფლის მეურნეობა. სოფლის მეორნეობაში დანერგილმა ტექნოლოგიებმა დედამისწის მოსახლეობის 7 %-ი გადაარჩინა შიმშილით სიკვდილს, რომელიც შეძლო გლობალიზაციის განვითარებამ.

საკმაოდ რთული წარმოსადგენია დღევანდელი სამყარო ახალი და თანამედროვე ავტომობილების გარეშე ან კიდე წარმოვიდგინოთ რომ ჩვენს ხელთ არსებული ყველა საკომუნიკაციო საშუალება აღარ გვაქვს რაც საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩააყენებს ყველა ქვეყანას და ყველა წარმოებას. რაც ნამდვილად არასასურველია. გლობალიზაციის დადებით მხარედ განვიხილავ ასევე ინფრმაციის სწაფად გავრცელების პროცესს რადგანაც დღევანდელ სამყაროში ძლიერი არის ის ვინც ფლობს ინფორმაციას.

გლობალიზაციამ შემოგვთავაზა სამყარო საზღვრების გარეშე, რამაც ხელი შეუწყო კაპიტალისა და ადამიანური რესურსის გადაადგილებას რომელმაც წინა პლანზე წამოწია ნაკლები დანახარჯებით მეტი პროდუქციის წარმოება ეწს შეუძლებელი იქნებოდა გლობალიზაციის გარეშე. დღევანდელ საქართველოში ხორციელდება უამრავი საერთაშორის პროექტები, ხელს უწყობს ქვეყნის სწრაფვას განვითარებისკენ და ჩვენ მოგვცა არჩევანის გაკეთების საშუალება აგვეჩია ჩვენთვის სასურველი მიმართულება თუ საითკენ უნდა წავსულიყავით, საბედნიეროდ ეს კურსი არის არჩეული დასავლეთისკენ და მყარად მივიწევთ განვითარების ამ კურსით.

იმისათვის, რომ ინდუსტრიებმა გაზარდოს მომხმარებელთა ბევრი მათგანი ცდილობს გაფართოვდეს და გააფართოვოს მათი ღირებულებათა ქსელი საერთაშორისო დონეზე. გლობალიზაციის გავლენა ბიზნესის მენეჯმენტზე ჩანს საზღვრების მასშტაბით გარიგების რაოდენობის უეცარი ზრდით. მოსავლიანობის დაცვასა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით, ბიზნესები აგრძელებენ თავიანთი ნაკადის ფართო სპექტრს, რადგან ამცირებს ღირებულებას და სარგებლობენ მასშტაბის ეკონომიკებით.[Asgary N. and Walle A.H.,2002]

მრავალეროვნული კორპორაციები გლობალიზაციის შედეგია. ისინი ცენტრალურ როლს იკავებენ გლობალიზაციის პროცესში, როგორც ამას მოწმობს გლობალური უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. მათმა კონცენტრაციამ ევროპაში დასავლეთის ეკონომიკებში გამოიწვია ზომების შეზღუდვა, ამიტომ საჭიროა ახალი გეოგრაფიული ტერიტორიების მოქმედება, რის გამოც მათ ბაზარზე დიდი კონკურენცია ექნებათ. ამით ისინი გააფართოვებენ ბაზარს და ისარგებლებენ მასშტაბური ეკონომიკებით, რადგან გლობალიზაცია ხელს უწყობს დროის სივრცის შეკუმშვას, ეკონომიკა კონკურენციას უწევს ყველა დონეზე, ინვესტორების მოზიდვის ჩათვლით.

ინდოეთში გლობალიზაციის ერთ–ერთი თვალსაჩინო დადებითი შედეგია უცხოური კაპიტალის ნაკადი. უამრავმა კომპანიამ ინვესტიცია მოახდინა ინდოეთში, ინდოეთის საწარმოო ნაწილების შექმნით, მაგრამ ის, რაც ასევე

გვჭირდება, არის უცხოური ინვესტიციების შემოდინების ოდენობარომელიც მიედინება განვითარებად ქვეყნებში. ინდური კომპანიები, რომლებიც კარგად მუშაობდნენ, როგორც ინდოეთში, ისე სანაპიროებზე, იზიდავენ უამრავ უცხოურ ინვესტიციას და, ამრიგად, ზრდის ინვესტი-ციის ვალუტის რეზერვს ინდოეთში. ეს ასევე გლობალიზაციის ერთ-ერთი დადებითი შედეგია აშშ – სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში, რადგან განვითარებადი ქვეყნები მათ კარგი საინვესტიციო წინადადებას უკეთებენ. [Saudagaran S.M.,2002]

გლობალიზაციის ერთ – ერთი თვალსაჩინო დადებითი ეფექტი არის

პროდუქციის გაუმჯობესებული ხარისხი გლობალური კონკურენციის გამო. მომხმარებლის მომსახურება და "მომხმარებელი არის მეფე" წარმოების მიდგომებმა განაპირობა პროდუქტებისა და მომსახურების გაუმჯობესება. იმის გამო, რომ ადგილობრივ კომპანიებს უნდა გაუწიონ ბრძოლა უცხოური კონკურენციისგან, ისინი ვალდებულნი არიან გააძლიერონ თავიანთი სტანდარტები და მომხმარებელთა კმაყოფილების დონე, რათა ბაზარზე გადარჩეს. გარდა ამისა, როდესაც გლობალური ბრენდი შემოდის ახალ ქვეყანაში, ის მოდის სიკეთის სურვილში, რომელსაც ის უნდა შეუდგეს ცხოვრებას. ეს ქმნის კონკურენციას რაც ხელს უწყობს პროდუქციის გაუმჯობესებას და ფირმებს იძულებუს ხდის, რომ განვითარდნენ სამომავლო მოგების მიღების მიზნით.

მედიის გაშუქებამ მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ეს იწვევს ადამიანის უფლებების გაუმჯობესებას. გლობალური ეკონომიკური ზრდა სულაც არ გახდის ხალხს ბედნიერს, მსოფლიოში თავისუფალი ვაჭრობა, ასევე უნდა სარგებლობდეს კაცობრიობისთვის, ასევე ბუნების დაცვა, და არა მხოლოდ ჯილდოს მენეჯერები და აქციონერები. მათ, ვინც იქნებოდა ავთენტური ლიდერები, უნდა გაუმკლავდეთ უთანასწორობას. გლობალი-ზაციამ ხელი შეუწყოს ღიაობასა და ინფორმაციას, უფრო მეტი დემოკრატიისა და კეთილდღეობის გაცვლასთან ერთად, რამაც მსოფლიო გამოაღვიძა და დააანახა ჩვენს სამყაროში არსებული რეალობა თუ როგორ უჭირდათ ეკონომიკურად სხვა ქვეყნებს და რა

სამართლებრივი მდგომარეობა იყო იქ. გლობალიზაციამ მოიტანა ის შედეგი, რომ არ არსებობს დედამიწაზე კუთხე რომელშიც გლობალიზაციის შედეგად არ გაზრდილიყო ეკონომიკური კითილდგღეობა და სამართლებრივი გარემო. [Harris P.R., 2002]

დასრულდა ის დრო, როდესაც შეზღუდული იურისდიქცია კრიმინალების დევნის შემაფერხებელი სიტუაცია იყო. ამ დღეებში საერთაშორისო სასამართლოების გამო, ამ კრიმინალებს აღარ შეუძლიათ თავშესაფრის ძებნა უცხო ქვეყანაში გლობალიზაციის გამო. ასევე არსებობს ურთიერთგაგება ორი

ან მეტი ქვეყნის უსაფრთხოების სააგენტოებსა და პოლიციას შორის, რამაც გაიოლა მოქმედების პროცესი რადგანაც ეხლა საერთო ძალებით ყველა საქმის წარმართვა აიოლებს პროცესს და მეტად ეფექტურ ხდის. უცხო ქვეყნის სააგენტოების თანამშრომლობის ძირითადი მიზანი არის ტერერუსტული საფრთხე, რომელიც ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს დღევანდელ მსოფლიოსთვის. ამრიგად, ახლა უკვე შესაძლებელია დანაშაულის ჩამდენი პირების დაჭერა, იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნები აირჩევენ დამალვას. ეს უდავოდ არის გლობალიზაციის ერთ-ერთი უდიდესი დადებითი შედეგი საზოგადოებაზე.

გლობალიზაციის უარყოფითი მხარეები.

გლობალიზაციას ასევე აქვს თავისი გვერდითი მოვლენები განვითარებულ და განვითარებად ერებზე. ეს მოიცავს რამდენიმე ფაქტორს, სამუშაოების დაუცველობა, ფასების ცვალებადობა, ტერორიზმი, ვალუტის ცვალებადობა, კაპიტალის ნაკადები და ა.შ.

გლობალიზაციამ გარკვეულ წილად უარყოფითი გავლენა იქონია მსოფლიოს შრომის ბაზარზე, მართალია გლობალიზაციამ უამრავი სამუშაო ადგილი შექმნა საერთაშორისო ბაზარზე, მაგრამ ეს უარყოფითად აისახა ადგილობრივ ეკონომიკებზე, რადგანაც ადგილობრივმა სამუშაო ძალამ კონკურენცია ვერ გაუწია საერთაშორისო სამუშაო ძალას. მართალია, რომ გლობალურმა ეკონომიკურმა

ინტეგრაციამ და მოგზაურობის გაზრდამ განაპირობა კონკურენციის გაზრდა ეროვნულ და საწარმოს დონეზე, აიძულა მწარმოებლებმა იპოვონ გზები შემცირების ხარჯების, ეფექტურობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით". [Kiggundu M.N.,2002]

სწრაფი კვების ქსელი ძალიან სწრაფად იზრდება. მაგრამ ყველაზე სწრაფი ზრდა განვითარებად ქვეყნებში ხდება, სადაც ნამდვილად იცვლება ხალხის ჭამის სტილი. ადამიანები ცდილობენ დაზოგონ ფული და ამიტომ უხარისხო პროდუქციით კვებას ამჯობინებენ, რაც უარყოფითად აისახება ადამიანების ჯამრთელობაზე.

ადამიანების უმეტესობას ურჩევნია სწრაფი კვების ყიდვა, რადგან ეს იაფი და სწრაფია. ასე ჩაანაცვლებს ოჯახში და მეგობრებთან ერთად სიამოვნებით დამზადებული გემოები მან. ბურგერები და სტანდარტიზებულ ნივთები, რომლებსაც აქვთ ბევრი ცხიმი, შაქარი და მარილი, რის შედეგადაც დიაბეტის, სიმსუქნის და სხვა ქრონიკული დაავადებების გავრცელების გლობალური პრობლემები იჩენს თავს ეპიდემიებისა და პანდემიის სახით. იმავდროულად, სწრაფი კვების ობიექტების მწარმოებლე-ბი ფერმერებს მოსთხოვენ მოსავლისა და პირუტყვის ერთგვაროვან ნივთიე-რებების გაჯერებას რაც პროდუქციას ხდის გამძლესა და ამთანს, მაგრამ ეს კარგი ნამდვილად არ არის რადგანაც პროდუქცია კარგავ თავის საკვებ ღირებულებას, რაც კატასტროფამდის მიდის სოფლის მეორნეობაში რადგანაც ამ პროცესში კვდება სოფლის მეორნეობის მრავალფეროვნება.

გლობალიზაციამ ერთი უარყოფითი გამოვლინება ჰპოვა დღევანდელ სამყაროში. მსოფლიოში პანდემია გავრცელდა და მოედო მსოფლიოს. covi-19 -ის სახელით არის ცნობილი გლობალიზაციის პირობებში როდესაც სამყაროს საზღვრები უცებ ღიაა პანდემიას საშუალება მიეცა, რომ დროის მცირე მონაკვეთში გავრცელებულიყო სამყაროში რამაც სერიუზული პრობლემები შეუქმნა როგორც გლობალიზაციის პროცესს, ასევე წარმოების პროცესსაც.

2.გლობალიზაციის ეკონომიკური განზომილების თავისებურებები.

2.1.საერთაშორისო ვაჭრობის გლობალიზაცია.

საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობებს გულისხმობს. ამ პროცესში როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციები, ასევე სახელმწიფოები არიან ჩართულნი. საერთაშორისო ვაჭრობა, თავისთავად, სახელ-მწიფოებრივი მოვლენაა, რომელიც მოიცავს ქვეყნებს შორის თავისუფალ ვაჭრობას და საქონლისა და მომსახურების დაუბრკოლებლად მიმოცვლას. ვაჭ-რობას საერთაშორისო ურთიერთობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ის ქვეყნებს შორის ამა თუ იმ ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბების ერთ ერთი მთავარი წინაპირობაა. საერთაშორისო ვაჭრობა სულაც არ არის ახალი მოვლენა. ქვეყნები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ დაკავებულნი ერთმანეთთან საქონლის გაცვლა-გამოცვლით, თუმცა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის განსხვავდებოდა ვაჭრობის ტიპები ერთმანეთისგან. განსხვავ-დებოდა სავალუტო რეჟიმი, გაცვლითი

კურსი, ტარიფები, ბარიერები და ა.შ. საერთაშორისო ვაჭრობისადმი განსხვავებული სახის მიდგომებმა, სხვადასხვა დროს ახალ-ახალი პრობლემები შექმნა. ამ პრობლემების წარმოშობა ძირითადად იმით აიხსნება, რომ არ არსებობდა ვაჭრობის შეთანხმებული წესები და შესაბამისად, მისი მაკონტროლებელი ინსტუტებიც. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოები თავიანთ საგარეო სავაჭრო კურსს ხშირად ერთმანეთთან შეუთანხმებლად ცვლიდნენ. ზრდიდნენ ტარიფებს, აწესებდნენ საქონლის იმპორტზე კვოტებს და ა.შ. ასეთი მოქმედებები მსოფლიო

J.cavanagh. J.mender. Alternatives tu economic globalization.

ეკონომიკისთვის ხშირად დიდი დარტყმა იყო. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთაშორისო ვაჭრობის ისტორიაში, განსხვავდებოდა საგარეო კურსის დადგენის

წესები პირველ მსოფლიო ომამდე. მსოფლიო ეკონომიკა მოქმედებდა ოქროს სტანდარტის არსებობის პირობებში, რაც იმას ნიშნავდა, რომ დადგენილი კურსის პირობებში შესაძლებელი იყო ამა თუ იმ ვალუტის კონვერტირება და ამით მცურავ კურსთან დაკავშირებული პრობლემების მთლიანად გამორიცხვა. ფიქსირებულმა

კურსმა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას ხელი კი შეუწყო, მაგრამ მასაც ჰქონდა თავისი ნაკლი. ეკონომისტების აზრით, პირველი ნაკლი ის იყო, რომ ოქროს სტანდარტის პირობებში ქვეყნები ვერ აკონტროლებდნენ. მეორე ნაკლი კი ის იყო, რომ ყველა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა დამოკიდებული იყო ოქროს მოპოვების ტემპებზე, რასაც ხან დეფლაცია მოჰყვებოდა, ხან კი ინფლაცია. ერთი სიტყვით, ეკონომიკური მდგომარეობა არ იყო სტაბილური.

მეორე მსოფლიო ომს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია მოჰყვა. დამანგრეველი ომის შემდეგ, ევროპის ქვეყნების ეკონომიკური სიძლიერე წარსულს ჩაბარდა და მსოფლიო პოლიტიკის ასპარეზზე აშკარა დომინაცია აშშ-მ მოიპოვა. დიდი დეპრესიის შემდეგ აშშ-მ მალევე მოახერხა ეკონომიკური რეაბილიტაცია და ომის დასრულებისას უკვე დომინირებდა, როგორც ეკონომიკური, ისე

პოლიტიკური თვალსაზრისითაც. მას ევროპაში პარტნიორები სჭირდებოდა, ამიტომ გადაწყვიტა, მიწასთან გასწორებულ ევროპელებს თავად დახმარებოდა ფეხზე წამოდგომაში. ამისათვის კი ახალი ფინანსური სისტემის შემუშავება იყო საჭირო, რომელიც 1944 წელს, ბრეტონვუდსში შემუშავდა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას და მათი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების ზრდას, რაც მათი დაპირისპირების შანსებს მნიშვნელოვნად ამცირებს. ამ შემთხვევაში მჭიდრო ეკონომიკური კავშირის მქონე ქვეყნებისთვის ერთმანეთთან დაპირისპირება დაკავშირებულია დიდ ეკონომიკურ დანაკარგებთან, რის გამოც სახელმწიფოები თავს იკავებენ, ერთმანეთს თავს დაესხან. ჯონ ედელმან სპირო თავის წიგნში (The Politics of International Economic Relations) საერთაშორისო ეკონომიკური

სისტემის ქვესისტემებში დასავლეთის ქვესისტემებს გამოყოფს, რომელიც ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებით გამოირჩევა.

სპირო წერს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპისა და აზიის რამდენიმე ქვეყანა ერთმანეთთან ეკონომიკური, სავაჭრო, ტექნოლოგიური, საფინანსო და სხვა კუთხით ერთმანეთს ძალიან დაუკავშირდნენ. სწორედ ამიტომ, ისინი მუდმივად ურთიერთობების გაუმჯობესებაზე მუშაობენ და მუდმივ პარტნიორულ რეჟიმში არიან ერთმანეთთან. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გატარებულმა საგარეო ეკონომიკურმა პოლიტიკამ ხელი შეუწყო ყველა ამ ქვეყანის ეკონომიკურ აღმავლობას, წარმოების გლობალიზაციას, ექსპორტის ზრდას და ტექნოლოგიურ განვითარებას. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულება ამ ქვეყნებს ვალდებულს ხდის ერთმანეთს გვერდში ედგნენ და ერთმანეთის სტაბილურობაზე იზრუნონ. ამის მიზეზი მარტივია. ნებისმიერი პარტნიორი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკისთვის მიყენებული ზიანი ავტომატურად აისახება სხვა ქვეყნების ეკონომიკაზეც. ერთი ქვეყნის ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებები უშუალოდ აისახება სხვა დანარჩენის

კეთილდღეობის მაჩვენებელზე. ამის გამო, არცერთი ამ სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის რაიმე სახის კონფლიქტის წამოწყება.

დემოკრატია მსოფლიო მშვიდობის დამყარებისთვის მთავარი ფაქტორია. საერთაშორისო და თავისუფალი ვაჭრობა ხელს უწყობს დემოკრატიზაციის პროცესს. დემოკრატიული ქვეყნები კი ერთმანეთის წინააღმდეგ იშვიათად იბრძვიან. როდესაც ვსაუბრობთ დემოკრატიაზე, ვგულისხმობთ ისეთ ქვეყნებს, სადაც საერთაშორისო ნორმებით დადგენილი პრინციპების მიხედვით მაღალია დემოკრატიულობის მაჩვენებელი, რაც მოიცავს ადამიანის უფლებების დაცვას, თავისუფალი ვაჭრობის

https://on.ge/

შესაძლებლობას, არჩევანის თავისუფლებას, სამართლიანი არჩევნების შესაძლებლობას, არჩევანის თავისუფლებას, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას და

ა.შ. თითქმის ყველა ქვეყანა, სადაც ეს ნორმები დაცულია, ერთმანეთთან უფრო მეტად

პარტნიორული ურთიერთობებით გამოირჩევა, ვიდრე კონფლიქტურით. იმისთვის, რომ საერთაშორისო ვაჭრობა გა- ნხორციელდეს, მნიშვნელოვანია, რომ ამა თუ იმ

ქვეყანაში შექმნილი იყოს კონკურენტუნარიანი საბაზრო სისტემა, სადაც კომპანიები

თავისუფლად შეძლებენ ერთმანეთთან კონკურენციაში ყოფნას. კონკურენცია კი თავისუფალი ბაზრისთვის დამახასიათებელი მოვლენაა, რისი უზრუნველყოფისთვისაც დემოკრატიული პრინციპების დაცვა აუცილებელია.

90-იანი წლებიდან მოყოლებული, სწორედ საერთაშორისო ვაჭრობის წყალობით, ეუროპის ქვეყნებმა მოაერხეს სწრაფად ფეხზე დადგომა და ევროკავშირში გაწევრიანება. ევროკავშირი, მრავალი შესაძლებლობის, მათ შორის

თავისუფალი ვაჭრობის, ერთ-ერთი მთავარი წყაროა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის, ორგანიზაციაში გაწევრიანებისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმის შემდეგ, არც ერთი შეიარაღებული კონფლიქტი არ მომხდარა. კიდევ ერთი კარგი მაგალითია სამხრეთ კორეისა და ტაივანის შემთხვევებიც. ოცი წლის წინ, ორივე ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა იყო, სადაც უგულებელყოფილი იყო ყოველგვარი ადამიანის უფლებები და დემოკრატიული ღირებულებები. მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნებმა თავისუფალ ვაჭრობას მიჰყვეს ხელი, გარდა იმისა, რომ გამდიდრნენ, შეიცვალა პოლიტიკური ვითარებაც. ხელისუფლების დიდი ხნით უზუმპატორი პარტი-ები ოპოზიციურმა ძალებმა ჩაანაცვლეს, გაიზარდა მათი დემოკრატიულობის მაჩვენებელი, განვითარდა ეკონომიკა და გაიზარდა ცხოვრების დონეც.

საერთაშორისო ვაჭრობას ნეგატიურ ასპექტში პროტექციონიზმის დამცველები აფასებენ. მათ მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უშლის ადგილობრივი წარმოების განვითარებას და ქვეყნის მოქალაქეებს აკარგვინებს სამუშაო ადგილებს, რაც ზრდის სიღარიბის მაჩვენებელს. ისინი ამას იმის გამო ამბობენ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში ვაჭრობაში ჩართულ ყველა ქვეყანაში მოქმედებს თანაბარი კონკურენცია ბაზარზე და ხშირ შემთხვევაში მდიდარი ქვეყნების პროდუქტები უფრო იაფად მიეწოდებათ ქვეყნებს, რაც ადგილობრივ წარმოებას საფრთხეს უქმნის.

საქმე ისაა, რომ განვითარებულ ქვეყნებს საკვებისა და ზოგადად პროდუქტების წარმოება გაცილებით იაფი უჯდებათ, ვიდრე განვითარებად და განუვითარებელ ქვეყნებს. ამას დამატებული საერთაშორისო ვაჭრობის პირობებში არსებული დაბალი სატარიფო გადასახადები ხელსაყრელ გარემოს ქმნის უცხოური პროდუქციისთვის და ის ბაზარზე დაბალი ფასებით დიდ კონკურენციას უწევს ადგილობრივ პროდუქტს. ამის გამო, განვითარებად ქვეყნებში მცირდება სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა მაჩვენებელი, შესაბამისად მცირდება ადგილობრივი პროდუქტის წარმოებაც.

პრინციპში, ამ მოსაზრებას აქვს თავისი რაციონალური ახსნა. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მართლაც ამცირებს რიგ ინდუსტრიებში სამუშაო ადგილებს, მაგრამ სამაგიეროდ, სხვა ინდუსტრიებში აჩენს დამატებით დასაქმების პერსპექტივებს. მაგალითისთვის, ტაილანდში კაპიტალიზმისა და ვაჭრობის განვითარებამ, მომსახურების სფეროში ასობით-ათასი სამუშაო ადგილი შექმნა. ამასთან, უნდა აღინიშნოს 1930 წელს აშშ - ს მიერ გატარებული ე.წ პროტექციონალისტური სმუთჰოულის პოლიტიკა, რომელმაც ამერიკა დიდ დეპრესიამდე მიიყვანა, რასაც შედეგად საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების გაფუჭება მოჰყვა.

საერთაშორისო ვაჭრობის მოწინააღმდეგეები ხშირად იმასაც ამბობენ ხოლმე, რომ საერთაშორიო ვაჭრობა დემოკრატიზაციის პროცესთან არანაირ კავშირში არაა

და ის უფრო მეტად დამაზიანებელია, ვიდრე სასარგებლო. ამის დასამტკიცებლად კი ისინი ნავთობმომპოვებელი ქვეყნების მაგალითებს იშველიებენ. უფრო კონკრეტულად, ისინი ხშირად ამბობენ, რომ აზერბაიჯანი ნავთობით მდიდარი ქვეყანაა. მშპ ერთ სულ მოსახლეზე საშუალო და მაღალია, ქვეყანა ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა დემოკრატიის ხარისხი მინიმუმ გამოწვევებსაც ვერ აკმაყოფილებს. კიდევ უფრო მძიმე მაგალითია ერაყი, სადაც ნავთობი დიდი რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ ამის მიუხედავად მშპ ერთ სულ მოსახლეზე 4,600$-ს ითვლის და უმუშევრობის მაჩვენებელი 16%-ს.

საქმე ისაა, რომ ამ თემაზე საუბრისას, ისინი უგულებელყოფენ საერთაშორისო ვაჭრობის ძირითად პრინციპს თავისუფალ ვაჭრობას. იმისთვის, რომ სახელმწიფომ დემოკრატიზაციის მაღალ მაჩვენებელს მიაღწიოს, აუცილებელია, რომ ქვეყანაში არსებობდეს თავისუფალი ეკონომიკა, სამართლიანი კონკურენცია და სახელმწიფოს ჩარევა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. იმ ქვეყნებში კი, რომელიც ზემოთ უკვე დავასახელეთ, სახელმწიფო მთავარი ეკონომიკური აქტორია, რომელიც ახშობს თავისუფალი ბაზრის პრინციპებსა და კონკურენციას და ამ მხრივ საკუთარ ძალაუფლებას იმტკიცებს.

არის კიდევ ერთი რამ, რასაც საერთაშორისო ვაჭრობა ქმნის. ეს არის ადამიანების კულტურული დაახლოება მთელი მსოფლიოს გარშემო. ადამიანებს, რომლებიც ერთსა და იმავე პროდუქტებს მოიხმარენ, გაცილებით მეტი საერთო აქვთ და უკეთესად ესმით ერთმანეთის, ვიდრე ოდესმე. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მართლაც უწყობს ხელს დემოკრატიზაციის პროცესსა და თავისუფალ ვაჭრობას, რადგან მისი მოქმედების პირობებში, სახელმწიფოების ღირებულებები, საზოგადოების კულტურული მოდერნიზაცია და გლობალიზაცია, ფაქტობრივად გარდაუვალი პროცესია.

2.2 კაპიტალის მოძრაობის გლობალიზაცია.

საერთაშორისო ვაჭრობა და ისეთი პროდუქტიული რესურსების გადაადგილება, როგორიცაა შრომა, კაპიტალი და ტექნოლოგია, ერთმანეთის შემცვლელია. შედარებით კაპიტალით მდიდარ ქვეყანას, შეერთებულ შტატებს, შეუძლიათ ექსპორტზე გაიტანონ კაპიტალურად ინტენსიური საქონელი, ან თავად ექსპორტ კაპიტალი.

კაპიტალის მწირი ქვეყნების პირობები მოითხოვს მათ კაპიტალის ინტენსიური საქონლის იმპორტს, ან შეიძინონ კაპიტალის სასურველი გადინება უცხოეთიდან. ფინანსური რესურსების მოძრაობა ან მოძრაობა ერთი ქვეყნიდან მეორეზე, ან ქვეყანაში წარმოების საზღვრის გასაფართოებლად, საერთაშორისო კაპიტალის ნაკადის ან მოძრაობის აღმნიშვნელია.

აუცილებელია საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობების განსხვავება იმპორტისაგან. საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობებს შეიძლება წარმოადგენენ წარმოების ფაქტორად. თუ კაპიტალის საკმარისი შემოდინება ვერ განხორციელდება საზღვარგარეთიდან, სავარაუდოდ, უარყოფით ზეგავლენას მოახდენს თავიანთ ეკონომიკაზე და საფრთხის ქვეშ დააყენებს გარდამავალი ეკონომიკის ტიპის ქვეყნებს.

ამასთან დაკავშირებით, უნდა ვაღიაროთ, რომ მხოლოდ რეალური კაპიტალის მოძრაობები მნიშვნელოვანია რესურსების განაწილების თვალსაზრისით. ეს ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომლებიც დამოკიდებულია უცხოური კაპიტალის შემოდინებაზე, რომ შეინარჩუნონ ეკონომიკური საქმიანობის დონის ამაღლება, უნდა ჰქონდეთ მასშტაბური კაპიტალის შემოდინება, რაც უფრო მეტია კაპიტალის შემოდინაება, მით მეტია ეკონომიკური მდგომარეობის მდგრადოაბა.

საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობები საუკუნეების განმავლობაში

გრძელდებოდა. ისტორიულად, ბრიტანეთის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის და მრავალი სხვა ქვეყნის განვითარება მოხდა უცხოური კაპიტალის საფუძველზე. პირველი მსოფლიო ომის წინა საუკუნე იყო კერძო ინვესტიციების საქმიანობის ,,ოქროს ხანა". ამ პერიოდში ბრიტანეთი, შეერთებული შტატები, საფრანგეთი და გერმანია უფრო ინდუსტრიული გახდა მასშტაბური უცხოური ინვესტიციების გზით.

ამ ქვეყნების გარდა, უცხოური ინვესტიციების მიმღებებმა ამ პერიოდში მოიცვეს ევროპის რამდენიმე ქვეყანა, ლათინური ამერიკა, კანადა, აზია და აფრიკა. ომისშემდგომი პერიოდ ის განმავლობაში, უმთავრესად განვითარდა ის, რომ შეერთებულმა შტატებმა წმინდა საერთაშორისო მოვალისგან გადაიქცა მნიშვნელოვან წმინდა კრედიტორ ქვეყნად.

1930 წლის დეპრესიამ გამოიწვია საერთაშორისო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობების მკვეთრი ვარდნა საერთაშორისო ფულადი აპარატის დეორგანიზაციისა და ტარიფების, ვაჭრობისა და გაცვლითი შეზღუდვების გააქტიურების გამო, მაგრამ ასეთი მკვეთრი ცვლილებები დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგანაც ქვეყნები საერთაშორისო ინვესტიციების გარეშე

დიდხანს ვერ შეძლებდნენ წარმოების პროცესის ინდივიდუალურად გაგრძელებას, რადგანაც არ აქვთ საკმარისი რაოდენობის ფინანსები. საერთაშორისო ბაზარზე სწრაფადვე ჩაიძირებოდნენ ასეთი ტიპის ქვეყნები.

საერთაშორისო კაპიტალის ნაკადების ზრდამ, რომლებიც მოიცავს განვითარებად ქვეყნებს, განაპირობა ტრანსნაციონალურ ფინანსური საკუთრების შესაბამისი ზრდა და მათი საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციების გაფართოება, უცხოური აქტივების და ვალდებულებების ჩამოყალიბება ქვეყნებში, რომლებიც გარდამავალ ეტაპს გადიან. განვითარებადი ქვეყნების მთლიანი უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შედარებითი ზრდა უზრუნველყოფს კაპიტალი გლობალიზაციის პროგრესიულ შემდგომ მტკიცებულებებს. სულ უფრო და უფრო განვითარებადი ქვეყნებიც გლობალურად ურთიერთდაკავშირებული სამყაროს ნაწილი ხდება. ბევრ განვითარებად ქვეყანაში, უცხოური აქტივები და

www.economicsdiscussion.net

ვალდებულებები აუმჯობესებს წმინდა ეკონომიკურ მოგებას განვითარებად ქვეყნებისათვის. მიმდინარე ანგარიშის ჭარბი პოზიციის ამოქმედება ქვეყანას საშუალებას აძლევს შეამციროს თავისი საგარეო დავალიანება და დაგროვდეს უცხოური აქტივები, მათ შორის საერთაშორისო რეზერვები. ბოლო ათწლეულის განმავლობაში

საგარეო სესხის ტენდენციებმა განვითარებული ქვეყნების სესხის მაჩვენებლების ზოგადი გაუმჯობესება განაპირობა. საგარეო სესხი გამოხატული, როგორც მთლიანი ეროვნული შემოსავლის პროცენტული მაჩვენებელი და საქონლისა და მომსახურების ექსპორტის პროცენტული მაჩვენებელი შემცირდა. გლობალური საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, განვითარებადი ქვეყნების, როგორც ჯგუფის, სესხის მოზიდული ტვირთი ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა.

ფინანსური გლობალიზაციამ დაამტკიცა საშიში გამოცდილება ბევრ განვითარებად ქვეყანაში, შენარჩუნება კონკურენტული გაცვლითი კურსი გახდა პოლიტიკის აქცენტი. თუ სავალუტო ბაზრის ინტერვენციები გამოიყენება ვალუტის

გაუფასურების ზეწოლას, საერთაშორისო რეზერვების შექმნა ხდება, როგორც პროდუქტი.

საერთაშორისო ფინანსების ძირითადი მოაზრებები ვარაუდობენ, რომ განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალის ნაკადები შეიძლება კეთილდღეობის გაუმჯობესება იყოს . განვითარებად ქვეყნებს, რომლებსაც მიიღებენ კაპიტალის წმინდა შემოდინება, შეუძლიათ ინვესტიცია განახორციელონ შედარებით მაღალ პროცენტულ შემოსავალზე, კაპიტალი მომარაგებულია განვითარებული ქვეყნებიდან, სადაც დაბრუნების პროცენტებია. შედარებით დაბალია. ეს ასახავს იმ ფაქტს, რომ განვითარების ადრეულ ეტაპზე დიდია კაპიტალის საჭიროება, ხოლო საშინაო დაზოგვა დაბალია. ამასთან, როგორც განვითარება ვითარდება, კაპიტალის მოთხოვნილება ნელ-ნელა იკლებს, ხოლო შიდა დაზოგვა ნელა იზრდება. ეს თეორიული ჩარჩო, რომელიც პროგნოზირებს განვითარებული ქვეყნიდან განვითარებულ სამყაროში,

---

stats.unctad.org

წმინდა კაპიტალის ნაკადებს, ძალზე იდეალიზებულია, რითაც მრავალი ინტერვენციული ფაქტორი ხელს უშლის იდეალიზებულ ნაკადებს. ეს მოიცავს პოლიტიკურ რისკს, ნაგულისხმევი რისკს, ადამიანური კაპიტალის და ტექნოლოგიის დონესა და ინსტიტუციონალურ ხარისხში არსებულ განსხვავებებს. გარდა ამისა, როგორც პირველად აღნიშნა ჰამერმა (1976), დაბრუნების ანალიზის ტემპი მთლიანად არასაკმარისია, რომ ახსნას პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები.

კაპიტალის მოძრაობი გლობალიზაციაში ერთ - ერთი მთავარი ფაქტორი ითამაშა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა რომლებმაც. შეძლეს გადაელახათ საზღვრები და დაეწყოთ კაპიტალის გადატანა ერთ ადგილიდან მეორე ადგილას. შემდეგნაირად შემოგვთავაზა ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა განვითარება.

პირველ ტრანსნაციონალურ ფინანსურ დაწესებულად 1118 წელს დაარსებული ტამპლიერების ორდენი შეიძლება ჩაითვალოს, როცა 1135 წელს მათ საბანკო საქმის წარმოება დაიწყეს. პირველი ტრანსნაციონალური კომპანია იყო ბრიტანული ოსტ-ინდოეთის კომპანია, რომელიც 1600 წელს დაარსდა. ორი

წლის შემდეგ კი ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანიაც გაჩნდა, რომელიც პირველი სააქციო კომპანია იყო და ამავდროულად, ყველაზე მსხვილი საერთაშორისო კომპანიებს შორის. იგი, გარდა იმისა, რომ აზიის ბევრ ქვეყანასთან აწარმოებდა სავაჭრო ურთიერთობებს, ამავე დროს მსოფლიოში პირველი მეგაკომპანიაც იყო, რომელსაც გარკვეულწილად სახელმწიფოებრივი უფლებამოსილება ჰქონდა. მაგ: შეეძლო ომის დაწყება, პოლიტიკურ კამათში მონაწილეობის მიღება, მონეტების გამოშვება, და კოლონიების დაარსებაც კი.

თანამედროვე გაგებით პირველი ტრანსნაციონალური კომპანიები XIX ს-ის ბოლოს გაჩნდნენ. მათი წარმოშობა იმ ფაქტორმა განაპირობა, რომ დიდი მასშტაბებით წარმოება ბევრად ეფექტურია, რადგან გლობალური მასშტაბის საქმიანობა ამცირებს წარმოების დანახარჯებს და ზრდის მოგებას. XX ს-ის ბოლოს მომხადარი მოვლენების გამო ტრანსნაციონალური კომპანიებისთვის

I.A. Goldin. Global Capital Flows and Development: A Survey

ხელმისაწვდომი გახდა ახალი რეგიონები, ახალი ბაზრები და დარგები. ამ მოვლენებს შორისაა საბჭოთა კავშირის დაშლა, ანტიკომუნისტური რეფორმები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და ამ რეგიონებში სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაცია, ჩინეთის, როგორც ,,მსოფლიოს ფაბრიკისა“ და უდიდესი ბაზრის სწრაფი განვითარება. ამავე დროს ვითარდება რეგიონალური ინტეგრაცია, ქვეყნები დებენ ხელშეკრულებებს და წევრიანდებიან ეკონომიკურ კავშირებში, რაც ამცირებს სავაჭრო ბარიერებს და ზრდის ეროვნული ეკონომიკების ურთიერთკავშირებს. ტექნიკები დღეს მეურნეობის თითქმის ყველა დარგშია. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ იმით, თუ რას აწარმოებენ, არამედ იმითაც, თუ როგორ აწარმოებენ: ტექნოლოგიის დონით, მენეჯმენტის სტილით და მათი პროდუქციის ბაზრის სტრუქტურით. მენეჯმენტი და მარკეტინგი ასეთ კორპორაციებში ხშირად შერეულია. ერთ ან რამდენიმე ქვეყანაში მარკეტინგის შედეგად პროდუქცია იყიდება მთელ მსოფლიოში. უმეტეს შემთხვევაში, ტრანსნაციონალური კორპორაციები

რამოდენიმე ქვეყნის იურისდიქციას ექვემდებარება, რაც აძნელებს მათ გაკონტროლებას ერთი კონკრეტული სახელმწიფოს მიერ.

ტრანსნაციონალური კორპორაციები შეიძლება დაიყოს შემდეგი მახასიათებლების მიხედვით: მათი სიდიდე, მათი ფილიალების რაოდენობა, საქმიანობის ტიპი (მოპოვებითი, სამრეწველო, მომსახურება/სერვისი, ტურიზმი, სასტუმროები, დაზღვევა, ფინანსები, ტრანსპორტი, შერეული, სასოფლო-სამეურნეო), უცხოურ ფილიალებთან კავშირის ტიპი, ანუ როგორ საკუთრებაშია – მთლიანი, ნაწილობრივი, ერთობლივი.

XXI ს-ის დასაწყისში მსოფლიოში 70 ათასზე მეტი ტრანსნაციონალური კომპანია და თითქმის 850 ათასი მათი ფილიალი არსებობდა. მსოფლიოს 500 უმსხვილესი ტნკ-დან 170 ევროპულია, 162 ამერიკული, 126 იაპონური, ხოლო 42 სხვა ქვეყნებიდანაა (სათავო ოფისის მიხედვით), მაგრამ ტნკ-ში დასაქმებულთა (სულ 75 მილიონ კაცზე მეტი) მხოლოდ 20% მოდის განვითარებულ ქვეყნებზე.

---

http://mastsavlebeli.ge/

ტრანსნაციონალური კომპანიები აწარმოებენ მსოფლიოს სამრეწველო წარმოების თითქმის ნახევარს, საგარეო ვაჭრობის 2/3-ს, გამოგონებების, ახალი ტექნოლოგიების, ნოუ-ჰაუს პატენტებისა და ლიცენზიების 80%-ს.

3.გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ფუნქციონირება.

1.გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის თავისებურებები.

დღევანდელ მსოფლიოში ჩვენ უამრავი ქვეყანა გვხვდება მსოფლიოში, რომლებიც უკიდურეს გაჭირვების ქვეშ იმყოფებიან, ასეთი ქვეყნების ერთადერთი გამოსავალი არის, საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართვა და ინვესტიციების მიმღებ ქვეყანად უნდა იქცნენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებამ შეძლო ისეთი გარდამავალი ტიპის

ქვეყნების განვითარება, როგორიცაა ადრინდელი ჩინეთი, სამხრეთ კორეა და სხვა ბევრი ქვეყანა.

სავაჭრო სისტემის რეფორმა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რეფორმების წარმატების ან წარუმატებლობისთვის, ევროპისა და აზიის გარდამავალ ეკონომიკებში. ძალიან წარმატებულ ყოფილ გარდამავალ ეკონომიკებში. მაგალითად: ჩინეთი და პოლონეთი, ვაჭრობა და პროდუქტი სწრაფად გაიზარდა, შენარჩუნებული საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ტემპი, ამის საწინააღმდეგოდ, ბევრი გარდამავალი ტიპის ეკონომიკა ვერ ინარჩუნებს არსებულ პოზიციებს საერთაშორისო ვაჭრობაში, რაც ადრინდელზე უარეს შედეგებს აძლევს მათ, რადგან ჩნდება უფრო მეტი უმუშევარი ადრინდელთან შედარებით. საერთაშორის ვაჭრობა დამოკიდებულია ორ რამეზე, პირველი ეს არის გარდამავალ ქვეყნებში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობაზე და მათ პარტნიორი ქვეყნების

Will Martin 2000 Trade Policy Reform in the East Asian Transition Economies paragraph 10 -15

ურთიერთობაზე. მეორე არის რომ გაიზარდა ღიაობა მსოფლიოში, როგორც ჩანს, ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკურ კურსის ზრდაზე დაფიქსირებული სავაჭრო კურსის შენარჩუნება. ასევე მთავარ ასპექტს წარმოადგენს პოლიტიკის რეფორმირების მნიშვნელობას, როგორც

უფრო სრულყოფილი ნაწილი რეფორმების პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური განვითარების მიღწევას. მეორე ხაზს უსვამს სავაჭრო

პოლიტიკის რეფორმირების მნიშვნელობა, თუ რეფორმები წარმატებას მიაღწევს მაშინ ცხოვრების სტანდარტი გაიზრდება და სიღარიბე შემსუბუქდება. სავაჭრო რეჟიმის წარმატებული რეფორმა რთულია, როგორც ტექნიკური მიზეზების გამო, ასევე ყველა ქვეყანაში ამ სექტორში ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის გამოც. ძირითადი ტექნიკური სისტემის სირთულეები სავაჭრო სისტემის რეფორმირების პროცესში, წარმოიქმნება მათი შექმნის აუცილებლობისგან შიდა ეკონომიკური პოლიტიკის რეფორმების პარალელურად. საბაზრო ეკონომიკის სავაჭრო პოლიტიკის

ინსტრუმენტების დანერგვა ჩრდილოეთ კორეის ეკონომიკისთვის, რომელიც ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი სავაჭრო მსოფლიოს წევრი და არსებოს ჩაკეტილ სისტემაშ. ბაზარზე ორიენტირებული ეკონომიკა ეყრდნობა ფასების ცვლილებების სიგნალზე რესურსების განაწილება წარმოების სხვადასხავ სექტორზე გადანაწილებით. პოლიტიკური სირთულეები სავაჭრო რეჟიმის რეფორმირებაში წარმოიქმნება ყველა ეკონომიკაში, განსაკუთრებით ეკონომიკაში, მაგალითად, ყველაზე ადრეული გადასვლის დროს ეკონომიკა, სადაც არის რაოდენობრივი კონტროლის შეიძლება თავდაპირველ პერიოდში ადგილობრივ წარმოებებს საფრთხე შეუქმნას, რაგანაც ადგილობრი წარმოებები საწყის პერიოდში ვერ შეძლებენ კონკურენტუნარიანები აღმოჩდნენ დიდი კორპორაციების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ რეფორმირება რთულია, ამ გამოცდილების მიღება აუცილებელია ყველა ქვეყნისთვის, რომლებმაც უკვე მიაღწიეს მნიშვნელოვან პროგრესს და მიუახლოვდნენ განვითარების ახალ ეტაპს, მათ გაიარეს ეს ორი გაკვეთილი. ერთი გაკვეთილი ისაა, რომ რეფორმირების ერთი გზა არ არსებობს. თითოეული ქვეყანამ უნდა აირჩიოს საკუთარი გზა, დამოკიდებუ-

ლია მის კონკრეტულ გარემოებებზე და შეზღუდვებზე. სხვა ის არის, რომ არჩეულ გზას თანმიმდევრული და წარმატებული უნდა ჰქონდეს სერიოზული დამახინჯებების შემცირება, ან მოხსნა, ან რეფორმირების პროცესი წარმატებული არ იქნება. მაშინ, როდესაც მექანიზმებში, როგორიცაა ორსართულიანი ფასების სქემები, შესაძლო როლი შეიტანონ გადასვლაში მათი დამუშავების პროცესში, სავარაუდოდ, ისინი შექმნიან კორუფციისა და შანატაჟის პრობლემებს, თუ ეს ასე დარჩება ქვეყნებს სერიოზული საფრთხე შეექმნებათ და ეს პრობლემა სწრაფადვე უნდა მოაგვარონ. კვლევებით დგინდება რომ განვითარების დიდი ტემპი არის წარმოდგენილი აღმოსავლეთ აზიაში, ამ პროცესში ყველაზე დიდი წილი მიუძღვის თავისუფალი ვაჭრობის დაწყებას სხვა ქვეყნებთან და ტექნოლოგიური განვითარების მაღალი დონე. ბევრად უკეთეს ახსნას მოითხოვს შემოწმება არა მხოლოდ სავაჭრო პოლიტიკის, არამედ მთელი რეფორმების გათვალის-წინებით არსებული სიტუაციის კონტროლს.

გლობალიზაციის ძირითადი სარგებელი გამოიხატება ქვეყნის უპირატესობის მოპოვებაში, რომლის საფუძველზეც იგი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტი რაოდენობის საქონელს ან მომსახურებას წარმოადგენს. გლობალიზაციის თეორიის თნახმად, ორ ქვეყანას შეუძლია აწარმოონ ორი პროდუქტი სხვადასხვა დანახარჯებით, ექსპორტის ბაზარზე გასვლას კი შედარებით უპირატესი შეძლებს. მაგალითად: განვითარებად ქვეყანას შესაძლოა უპირატესობა რკინის წარმოებაში ჰქონდეს, განვითარებულს კი ამ რკინით ტექნიკის წარმოებაში. გლობალიზაციის პროცესი იძლევა შესაძლებლობას შეამციროს პროდუქტის მოხმარების არასტაბილურობა, რაც უფრო მარტივს ხდის იმპორტ-ექსპორტის წარმოებას. შეუძლებელია ისეთი განვითარებადი ქვეყნების მოძიება, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში, შეძლებენ განვითარდგნენ სავაჭრო პოლიტიკის გახსნის გარეშე. გლობალიზაცია, განვითარებად ქვეყნებში ვერ ახერხებს სიღარიბის დონის შემცირებას, იგი უბრალოდ ერთ დონეზე აჩერებს მას, რაც უფრო ცუდია ვიდრე ცუდი მმართველობა, ან არაეფექტური ეკონომიკური რეფორმების გატარება. სიღარიბის მაჩვენებლის ზრდის მაჩვენებელი გლობალიზაციის პროცესსში განვითარებულ ქვეყნებშიც კი შეინიშნება. არ არის ყოველთვის მარტივი, რომ განვითარებადმა ქვეყანამ მთლიანი რესურსი გამოიყენოს. ეს კი იმიტომ ხდება, რომ გლობალიზაციას მასშტაბური გავლენა აქვს სხვადასხვა სფეროებზე, როგორიცაა ტექნოლოგიები, მაკროეკონომიკური პროცესები.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთავარ შესაძლებლობას წარმოადგენს ეკონომიკური ლიბერალობა რომელიც მიმზიდველს ხდის ამ ქვეყნებს ახალი ინვესტიციებეის განხორციელების მიზნით, რადგანაც განვითარებად ქვეყნებში განვითარებულებისგან განსხვავებით იაფია მუშახელი და მატერიალური რესურსები რაც ხელს უწყობს წარმოების განვითარებას ამ ქვეყნებში. განვითარებას ტან ერთად იწყებენ ეს ქვენები მსოფლიო სავაჭრო სივრცეში ჩართვას, რადგანაც უკვე აკმაყოფლიებენ საერთაშორისო სტანდარტებ და შეუძლიათ გადავიდენ განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყანათა სიაში როგორც მოიქცა ჩინეთი. რომელიც ასახულია გრაფიკში.

სტატისტიკა:5



https://www.statista.com/

ცხრილიდან გამომდინარე თვალნათვლივ ჩანს, რომ რამდენად მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზეგავლენას ახდენს ვაჭრობა ეკონომიკაზე. ეს ციფრები გამოსახულია მილიარდი ამერიკული დოლარის სახით. ვაჭრობამ განავითარა ასევე ბევრი ქვეყანა მაგრამ მათგან ერთ-ერთი გამორჩეული გახლავს სინგაპური.

სინგაპური არის ძირითადი სავაჭრო და კომერციული კერა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში, განსაკუთრებით საერთაშორისო ბიზნე-სებისთვის. ქვეყნის ცენტრალურმა მდებარეობამ საშუალება მისცა გადა-ზიდვებისა და ვაჭრობის სრულყოფილი ჰარმონია მრავალ საერთაშორისო მოთამაშეს შორის, რომელთაც სურთ გადადგნენ ნაბიჯი რეგიონში გაფარ-თოებისთვის. სინგაპური აზიის მთავარი სატრანსპორტო და ტრანსპორტი-რების საპორტო ქვეყანას შორისაა და მსოფლიოში ერთ – ერთი საუკეთესო საექსპორტო ქვეყანაა. ექსპორტის მაღალი მაჩვენებლის ექსპორტმა ასევე აიძულა სინგაპური ჰქონდეს ძალიან მაღალი სავაჭრო სიჭარბი სხვ ASEAN ქვეყნებს შორის.

როგორც ქვეყანა, რომელსაც აქვს ძალიან მცირე სივრცე და თითქმის არ გააჩნია ბუნებრივი რესურსები, სინგაპურის ეკონომიკა ორიენტირებულია გლობალურ ვაჭრობაზე და მისი სპეციალიზირებული და მაღალ განათ-ლებული მუშახელის განვითარებაზე. მრავალი მსხვილი ფირმის მიერ ფილიალების გახსნისას ქალაქში, ფინანსურმა სექტორმა განიცადა მნიშვნე-ლოვანი ბუმი ფინანსური სერვისების ექსპორტით, ვიდრე გაორმაგდა ბოლო ათი წლის განმავლობაში. სადაზღვევო ინდუსტრიას ასევე მიბაძა, რაც გაორმაგდა სერვისების ექსპორტზე გატარებით.

ვაჭრობასა და ლოჯისტიკაში მოწინავე ინფრასტრუქტურის საჭიროების გასაადვილებლად, ქვეყანას უწევდა დიდი რაოდენობით ნედლეულის იმპორტი, რომლის შეძენაც მას თავად არ შეუძლია. ეს აშკარაა, როგორც საქონლისა და მომსახურების იმპორტი, როგორც მისი მშპ-ს პროცენტული

მაჩვენებელი, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი აზიის წყნარი ოკეანის რეგიონში.

ჩინეთის ბოლოდროინდელი ზრდისა და სხვა ASEAN- ის სხვა ქვეყნების კონკურენციის გამო, სინგაპურში ვაჭრობა მნიშვნელოვნად შენელდა რეგიონში ექსპორტის ზრდის ყველაზე ნელი ტემპით. ამ შენელებას მოჰყვა მასალებზე და საქონელზე მოთხოვნის შემცირება, რაც ასევე შემცირდა იმპორტის ვაჭრობის ზრდის შემცირებით.

ასეთი მკვეთრი ნაბიჯების გადადგმით შეძლეს ერთ დროს ყველაზე გაჭირვებულმა ქვეყნება განვითარება და ვაჭრობის დაწყებით გაუსწრეს ერთ დროს ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა თავისი პოზიციები დასთმეს, ეს გლობალიზაციიდან გამომდინარეა, რადგანაც გლობალიზაცია აძლევს შესაძლებლობებს ასეთ გარდამავალი ტიპის ქვეყნებს სამომავლო განვითარების, რადგან წარმოების პროცესიდან გამომდინარე შეუძლებელია რომელიმე ქვეყანას წარმოების უპირატესობა ქონდეს მუდმივად.

მინდა წარმოგისდგინოთ საქონლის ვაჭრობის გლობალური ექსპორტის მოცულობის ტენდენციები გრაფიკის სახით 1950 წლიდან 2018 წლამდე

დიაგრამა:1



https://www.statista.com/

სტატისტიკიდან ჩვენ კარგად ვხედავთ გლობალური ვაჭრობის განვითარე-ბას დროთაგანმავლობაში, დროის გასვლასთან ერათად ვითარდება გაყიდული პროდუქციის რაოდენაბაც რაც განაპირობებულია ადამიანების რაოდენობის მომატებასთან და ამავდროულად მათი მოთხოვნილებების გაზრდით არის განპირობებული. გლობალიზაციამ შეძლო ვაჭრობის გათავისუფლება საზღვრებისგან, რამაც თავარი როლი შეასრულა ვაჭრობის განვითარებაში რადგანაც იზოლირებულად ვერ შეძლებენ ქვეყნები წარმოებას და განვითარებას სამომავლო პერსპექტივაში

3.2 უცხოური ინვესტიციები გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

დღევანდელ მსოფლიოში ყველა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანა ცდილობს მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები, რადგანაც ეს ასოცირდება ეკონომიკის განვითარებასთან და პროგრესთან. უცხოური ინვესტიციებზე შეხედულება განსაკუთრებით გაიზარდა განსაკუთრებით XXI საუკუნეში. გლობალიზაციამ განსაკუთრებით ხელი შეუწყო საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობას

ტექნოლოგიური პროგრესიდან გამომდინარე, აშკარა გახდა, რომ უცხოური ინვესტიციები პირდაპირ კავშირში იყო ეკონომიკურ წინსვლასთან. ბოლო 25 წელი ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საბჭოური წყობის ნგრევად და ინვესტიციებისთვის მზად მყოფ მსოფლიოდ. ქვეყნებმა რომლებმაც ჩაატარეს რეფორმები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებ განიხილავენ როგორც თავიანთი წინსვლისა და თავიანთ ეკონომიკური პროექტების განხორციელების მთავარ წყაროდ. გარდამავალი ქვეყნები ძირითადად გამოირჩევიან კაპითალის სიმცირით, ქვეყნის შიგნით არსებული ფულის მასა ვერ უზრუნველყობს ქვეყნის განვითარებას რადგანაც არასაკმარიისია ის. ამიტომაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განიხილება როგორც სტაბილური გარემოს შექმნის და გრძელვადიანი პროექტების განხორციელების მთავარ წყაროდ. ამიტომაც გარდამავალი ქვეყნებიც ერთვიან საერთაშორისო კონკურენციაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაპოვებლად.

უცხოური ინვესტიციები იყოფა პორთფელურ და პირდაპირ ინვესტიციებად. პორთფელური ინვესტიციები გულისხმობს ინვესტიციის მიმღები ქვეყნის კომპანიების ფლობის 10 % - ს. ეს ძირითადად წარმოდგენილია ფასიანი ქაღალდების სახით და მოკლევადიანი პროცესოთ ხასიათდება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საერთაშორისო სავალუტო ფონდის და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტებით, გამოხატავს გრძელვადიანი ინტერესების შეძენას ერთი ქვეყნის რეზიდენტი კომპანიის მიერ მეორე ქვეყნის კომპანიაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გლისხმობს გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებას ამ კომპანიებს შორის, ამ დროს კომპანიის 10 % ზე მეტს იძენენ და ძირეული ცვლილებების განხორციელება შეუძლიათ მოახდინონ არსებულ კომპანიაში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია ასოცირდება არა მხოლოდ კაპიტალის შემოტანასთან არამედ მასთან ერთად სხვა უამრავი კარგი რამის შემოტანასთან მაგლითად: განათლების საშუალების ზრდა, მართვის თანამედროვე ტენდენციები, ხარისხის კონტროლი პროდუქციაზე და წარმოებულ პროდუქციას ეხმარება

მარკეტინგული ხრიკების გამოყენებით საერთაშორისო ბაზარზე თვითდამკვიდრებაში.

უცხოური ინვესტიციების პოტენციურ დეტერმინატებად შეგვიძლია განვიხილოთ შემდეგი ფაქტორები:

- გახსნილობა და ექსპორტზე ორიენტირობა
- შრომის ღირებულება
- ინფრასტრუქტურა
- მაკროეკონომიკული სტაბილურობა
- მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები

გახსნილობა და ექსპორტზე ორიენტირობა: უცხოური ინვესტიციის განმხორციებლები ყოველთვის ყურადღებას აქცევენ მიმღები ქვეყნის

გახსნილობას რადგანაც ეკონომიკურად გხსნილ ქვეყანაში იოლად არის შესაძლებელი ეკონომიკური აქტიურობის განხორციელება. მაგალითად ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სასურველია ინვესტიციის განხორციელება რადგანაც ღია ეკონომიკა ამ ტერიტორიაზე მუდმივად მიმზიდველს ხდის იქაურობას, ამავდროულად ყურადღება ექცევა ექსპორთზე ორიენთირებას რადგანაც გარდამავალი ტიპის ქვეყნები ყოველთვის არიან ორიენტირებული ექსპორთზე.

შრომითი ღირებულება: უცხოური ინვესტიციების განხორციელების მთავარ მიზანს წარმოადგენს სამუშაო დანახარჯების შემცირება რადგანაც ეს დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ამითომ უცხოური ინვესთიციების მთავარ სამიზნეს წარმოადგენს დაბალი დანახარჯებით წარმოება სწორედ ასეთ ქვეყნებს წარმოადგენენ გარდამავალი ტიპის ეკონომიკები.

სულიმანმა და მოლიკმა გამოიკვლიეს უცხოური ინვესტიციების ნაკადები განვითარებად ქვეყნებში და დაასკვნეს, რომ უცხოური ინვესტიციების მცირე ნაკადები აფრიკის ქვეყნებში განპირობებულია დაბალი კვალიფიკაციის მუშახელის არსებობით. ავტორებმა აღნიშნეს, რომ ადამიანური კაპიტალი წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელ დეტერმინანტს (Suliman... 2009: 51).

ინფრასტრუქტურა: ინვესტიციების განხორციებისას ასევე ყურადღება აქცევენ ინფრასტრუქტურულ განვითარებას რადგანაც ინვესტორებს არ უნდათ ხარჯები გაწიონ ინფრასტრუქტურის შექმნაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტელეკომუნიკაციასა და ელქტრო ენერგიის ინფრასტრუქტურულ განვითარებას.

უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი მაკრო დონის დეტერმინანტები მოიცავს ნებისმიერი მასპინძელი ქვეყნის გარემო პირობებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს უცხოურ ინვესტიციათა ნაკადებზე, აღნიშნული დეტერმინანტებია: ბაზრის მასშტაბი

და პოტენციალი, ბუნებრივი რესურსები, მასპინძელი ქვეყნის გახსნილობა და ორმხ-რივი სავაჭრო გამოცდილება, მაკროეკონომიკური ფაქტორები, ფისკალური დეფიციტი და შრომის ხარჯები (ჯღანჯღავა 2012: 63).

მაკროეკონომიკური სტაბილურობა: უცხოური ინვესტიციების განხორციელებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს რადგანაც მაკროეკენომიკური არასტაბილურობა მნიშვნელოვან როლს თამაშბს ქვეყნის შიდა ბაზრის არასტაბილურობა რადგანაც საფრთხეს ქმნის იმის რომ ფულის გაცვლითი კურსი მუდმივად არასთაბილური იქნება, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში უარს ამბობენ ამის გამო ინვესტიციის განხორციელებაზე.

პირველ ეტაპზე ხდება ქვეყნის ადგილმდებარეობის განსაზღვრა და რეგიონში პოტენციური კანდიდატების შერჩევა, ხოლო მეორე ეტაპზე კი უცხოელი ინვესტორის საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას ახდენს საგადასახადო და ფისკალური წახალისება (Oman 2010ა: 73).

მიმღები ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბები: ეკონომიკა რაც უფრო დიდია მით უფრო სასურველია ინვესტიციებისთვის, რადგანაც დიდი ბაზრები იოლად ითვისებს წარმოებულ პროდუქციას, აქედან გამომდინარე ინვესტორები ეძებენ ქვეყნებს ინვესტიციებისთვის რომლებიც ღია და მაშტაბური ეკონომიკისანი არიან.

უცხოური ინვესტიციები ხელს უწყობს მასპინძელი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას გლობალურ ეკონომიკაში. აქედან გამომდინარე,

მეტად მნიშვნელოვანია მიმღებ ქვეყნებში უცხოური ინვესტიციების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორების განსაზღვრა. უცხოურ ინვესტიციათა განმსაზღვრელი დეტერმინანტები ძირითადად ორ ჯგუფად იყოფა: მიწოდების და მოთხოვნის ფაქტორებად. საკუთრებისა და ინტერნაციონალიზაციის უპირატესობა განიხილება, როგორც უცხოური ინვესტიციების მიწოდების დეტერმინანტები, ეს უკანასკნელი მოიცავს მასშტაბის ეკონომიას, პროდუქციის სასიცოცხლო ციკლს, არამატერიალურ აქტივებს და ინტერნაციონალიზაციას, მაშინ როდესაც მასპინძელი ქვეყნების ადგილმდებარეობის უპირატესობა, მოიზიდოს მეტი უცხოური ინვესტიციების ნაკადები, წარმოადგენს მოთხოვნის დეტერმინანტს (Oman 2010: 480).

უცხოური ინვესტიციების გლობალური მაჩვენებელი.2000 – 2020 წ

სტატისტიკა:6



დიაგრამიდან კარგად ჩანს რამდენად დიდი პროცენტული წილი უკავია ინვესტიციებს განვითარებულ, განვითარებად და გარდამავალი ტიპის ქვეყნებისთვის. გარდამავალი ქვეყნებისთვის პროცენთული წილი ინვესტიციებში განსაკუთრებით გაიზარდა XXI საუკუნეში, რადგანაც გარდამავალი ტიპის ქვეყნებმა დაიწყეს ნდობის ამაღლება ინვესტიციის მოსაპოვებლად, რაც გამოწვეული იყო

https://unctadstat.unctad.org/

დღევანდელობიდან, უცხოურ ინვესტიციებს გვერდი არც ჩვენი სამშობლოსთვის არ აუვლია და მინდა წარმოგიდგინოთ საქართველოში შემოსული უცხოური ინვესთიციები, ამ ინვესტიციების დახმარებით შეძლო საქართველომ იმ

დროინდელი გაჭირვებისგან რომელშიც ვიყავით საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როდესაც ჩვენ ხელში გვქონდა შერჩენილი არ შემდგარი მთავრობა და არ შემდგარი ეკონომიკა.

დიაგრამა:2



https://www.geostat.ge/

https://www.nbg.gov.ge/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

გრაფიკზე წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური განვითარების ისტორიული ქრონოლოგია, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ ევოლუცია წლებთან

ერთად, როგორც უკვე ავღნიშნეთ წინა თავებში უცხოური ინვესტიციები დამოკიდებულია ინფრასტრუქტურაზე, პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სამართლებრივ გარემოებებზე. ამ პროცესებიდან გამომდინარე ჩვენთვის თვალნათვლივ არის წარმოდგენილი, რა პროცესების გამო არის უცხოური ინვესტიციები შემცი-რებული.

საქართველომ როგორც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანამ მკვეთრი განვითარება დაიწყო 2003 წელს ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ, როდესაც დასტაბილურდა ქვეყანაში პოლიტიკური სიტვაცია და აიღო განვითარების ახალი კურსი. ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში იდეალურად მიმდინარეობდა და უკვე ჩნდებოდა იმის შანსი, რომ ინვესტიციების მოზიდვის მხრივ ჩვენი ზმომის ქვეყანა ერთ - ერთი მოწინავე გამხდარიყო მაგრამ ხელი ისევ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ შეგვიშალა და 2008 - ს ომმა საკმაოდ ცუდად იმოქმედა ინვესტიციების შემოდინებაზე საქართველოში.

საქართველოში ინვესტირების უპირატესობებს წარმოადგენს: დაბალი გადასახადები; მარტივი და სამართლიანი საგადასახადო ადმინისტრირება; ეფექტიანი,ბიზნესის მხარდამჭერი.

სტაბილური და კონსერვატულად მართული საბანკო სექტორი; საზღვაო; მოქნილი შორმითი კანონმდებლობა; სახმელეთო; საჰაერო წვდომით და ვაჭრობის, წარმოებისათვის სტაბილური ენერგომიწოდება; კრიმინალის დაბალი დონე და სხვა.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ნეგატიურ ფაქტორს წარმოადგენს ისეთი საკითხები, როგორიცაა: საფონდო ბირჟის განუვითარებლობა; სამუშაო ძალის დაბალიკვალიფიციურობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები; მცირე ბაზარი, და სიღარიბის მაღალი მაჩვენებელი; კერძო საკუთრების დაცვის დაბალი დონე, კონფლიქტური რეგიონების არსებობა; მაღალი საპროცენტო განაკვეთები და სხვა.

ც. ჯენსენმა ხაზი გაუსვა ეფექტიანი უპე-ბის პოლიტიკის გატარების მნიშვნელობას, რომელიც დამახასიათებელია ცენტრალური და აღმოსავლეთ

ევროპის ქვეყნების გარდამავალი პერიოდის სხვადასხვა ეტაპებისათვის. გარდამავალი პერიოდის საწყის ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი დეტერმინანტი, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის მიმზიდველობას უცხოელი ინვესტორებისთვის, ლიბერალიზაცია და ეკონომიკის სტაბილიზაციაა. კერძოდ, საწყის ეტაპზე უცხოელი ინვესტორების მიერ აღქმული რისკი გაცილებით მაღალია, ამიტომ უცხოური ინვესტიციების შემოსვლა მეტწილად დამოკიდებულია არსებულ ზოგად გარდამავალ გარემოზე (Jensen 2006: 889).

დასკვნა

დღეისათვის მსოფლიო გამუდმებით იცვლება და ამაში ყველაზე მეტი წილი მიუძღვის „გლობალიზაციას“. რომლის დროსაც იზრდება და იცვლება თითოეული კომპანიისა თუ ქვეყნის მდგომარეობა. როგორც უკვე განვიხილეთ გლობალიზაცია თანამედროვეობის ერთ - ერთ სწრაფად განვითარებადი პროცესია რომელიც არ ექცევა ჩარჩოებში და მას განვითარებულმა თუ გარდამავალი ტიპის ქვეყნბმა ფეხი უნდა აუწყონ, რადგანაც არ ჩაიყლაპონ თავად გლობალიზაციის პროცესში.

გლობალიზაციამ შეძლო და გააკეთა ის რაც ვერცერთმა სახელმწიფომ და მეფემ ვერ შეძლეს, დაიწყო სამყაროს გაერთიანების და ერთად ქცევის პროცესი. გლობალიზაციის პროცესმა შემოგვთავაზა, დიდ შესაძლებლობები ქვეყნების განვითარების მიზნით რომელიც ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობების გაუმჯობესებას.

გლობალიზაციის დროს დაიძლია ეკონომიკური, პოლიტიკური და სასაზღვრო ბარიერები მსოფლიოში. ადამიანებს და კაპიტალს ერთად შეუძლიან გადაადგილდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რაც ყველა ადამიანს ხელსაყრელ პოზიციაში აყენებს, რადგანაც ყველა ადამიანი ექცევა ერთნაირ პირობებში.

გლობალიზაციის პროცესი იოლი არ გახლავთ განვითარებული ქვეყნებისთვისაც და გარკვეული ზიანი მიაყენა მათ რადგანაც, განვითარებულ ქვეყნებში ჩნდება იაფი მუშა ხელი, რომელიც აზარალებდა ადგილობრივ მუშახელებს, რაც იწვევდა გაუგებრობებს და სამუშაო ადგილების დაკარგვას.

გლობალიზაციას ჰყავს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი დამოკიდებულებების ადამიანები და მათი მთავარი პრობლემა გლობალიზაციაში არის კულტურული გლობალიზაცია რომლის დროსაც ადამიანები თვლიან, რომ საფრთხე ექმნებათ თავიანთ ინდივიდუალურიბას და შესაძლებელია მათი ასიმილაცია სხვა კულტურებთან რამაც შეიძლება მათი გაქრობა მოახერხონ კულტურული რუკიდან.

ნაშრომის გაანალიზებსი შემდეგ ჩვენ ვნახეთ, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერი ქვეყნისთვის. გლობალური ეკონომიკა მოიცავს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს. გლობალურ ეკონომიკაში პირველი ადგილი აშშ-ს ეკონომიკას უკავია, რომელიც არ არის მხოლოდ ეროვნული სახელმწიფო, არამედ გლობალურისამყაროს მამოძრაველ ძალასაც კი წარმოადგენს, მაგრამ ეს ასე შეიძლება დიდხანს არ გაგრძელდეს, რადგანაც ჩინეთი ცდილიბს მსოფლიო გააოცოს თავისი წარმოებითა და გლობალიზაციიის დახმარებით გაბატონდეს მსოფლიო ბაზარზე. როგორც უკვე მრავალჯერ აღვნიშნთ ეკონომიური გლობალიზაცია ხელს უწყობს საგარეო ვაჭრობის განვითარებას. როგორც სტატისტიკურ მონაცემებში ვნახეთ საქართველოს მაგალითზე გლობალურ სამყაროში დროთა განმავლობაში იზრდება ინვესტიციების დაბანდების რაოდენობა, აქედან გამომდინარეობს, რომ გლობალიზაციის პროცესი წარმატებით მიმდინარეობს ჩვენს ქვეყანაში, არის ინვესტიციების სტაბილური მატება ყოველწლიურად,(გარდა 2008 წლისა როდესაც ყველამ თვალნათვლივ დაინახა რისგამოც შემცირდა ინვესტიციები მაშინ და 2020 წლისა რომელიც გამოწვეულია მსოფლიოს გარეპირობებიდან გამომდინარე) რაც ნდობას იწვევს ინვესტორებში თავისი სანდოობიდან გამომდინარე.

გლობალიზაციის კვლევები გვიჩვენებს, რომ რაც მეტად არის ჩართული ქვეყანა გლობალიზაციის პროცესში, მით მეტად აქრტიურად ინარჩუნებს თავისუფალი ვაჭრობის პროცესში მინიმალურ შემზღუდავ ბარიერებს, ამ პროცესში ჩართული ქვეყნის კანონმდებლობა ბევრად უფრო მოწესრიგებულია, შედარებით პროცეს გარეთ მყოფი ქვეყნებისგან და გადასახადები მაღალი. ინოვაციების განვითარებას ტექნოლოგიების დარგში ხელს უწყობს პოლიტიკა და ხშირ შემთხვევაში სახელმწიფო გასცემს დიდ გრანტებს ტექნოლოგიურ განვითარებაში.რაც შეხება ქვეყნებს, რომლებიც არიან, განვითარებადი ან გარდამავალი ტიპის ქვეყნები.ისინი ატარებენ ისეთ პოლიტკას, რომელიც ბაზრების ფუნქციონირებაში უშუალო ჩარევაზეა დაფუძნებული,შესაბამისად მათი კონკურენტუნარიანობაც საკმაოდ მცირდება.

„გლობალიზაცია“ როგორც უკვე გავარკვიეთ წარმოადგენს ქვეყნების გამაერთიანებელ პროცეს რომელიც შეუქცევადია, ამიტომაც გარდამავალი ტიპის ქვეყნები რაც მალე შეძლებენ გაამარტივონ ეკონომიკური გადასახადები, მოაწესრიგონ მეტ ნაკლებად ინფრასტრუქტურა და შექმნან საიმედო პოლიტიკური გარემო, მენდგომში გლობალიზაციას და ბიზნესს უნდა მიეცეს სრული თავისუფლება ქვეყანაში და ისინი ერთმანეთს დაარეგულირებენ, რის შედეგადაც მოხდება ასეთი ქვეყნების განვითარება, რაც უფრო სწრაფად მიაღწევენ ამას გარდამავალი ტიპის ქვეყნები მით მეტი ინვესტიციის მოზიდვის შანს იძლევა ხოლო ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში მისი განვითარების წინაპირობაა.

ბიბლიოგრაფია

1. თოდუა გ.: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თბ. 2011
2. პ კრუგმანი.:დიდებული ტყუილი.გვ 68
3. I.A. Goldin. Global Capital Flows and Development: A Survey. 2005
4. Lynch k. the forces of economic globalization.2001
5. Fridman.J: oligopoli theory.1998
6. Martin W: Trade Policy Reform in the East Asian Transition Economies 2000 10
7. https://btuglobalizationguide.wordpress.com/
8. https://www.globalpolicy.org/
9. https://www.economicsdiscussion.net/
10. https://stats.unctad.org/
11. http://documents1.worldbank.org/
12. https://forbes.ge/
13. https://on.ge/
14. http://socium.ge/
15. http://tandaschwili.com/
16. https://unctadstat.unctad.org/
17. https://www.geostat.ge/
18. https://www.geostat.ge/
19. http://www.economy.ge/